კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დიანა გიგლემიანი

ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები 21-ე საუკუნის სტრატეგიული სტაბილურობის პირობებში

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: ვალერი მოდებაძე, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი

თბილისი 2018

ანოტაცია

21–ე საუკუნის სტრატეგიული სტაბილურობის პირობებში მსოფლიოს ორი მთავარი მოთამაშის–ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები საერთაშორისო პოლიტიკის ერთ–ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს.აღსანიშნავია,რომ მათ თანამშრობლობის ხანგრძლივი ისტორია აქვთ და იგი საინტერესოდ ვითარდება ცივი ომის დროიდან დღემდე.თუკი ცივი ომის პერიოდში ევროპის უსაფრთხოება და თავდაცვა ამერიკის შეერთებული შტატებისგან მიღებულ თანადგომასა და დახმარებაზე იყო დამოკიდებული,დღესდღეობით იგი ცდილობს საკუთარ უსაფრთხოებაზე თავადვე იზრუნოს,ფეხი მოიკიდოს ანარქიულ სისტემაში,რაც გლობალიზაციის პირობებში იოლი არ არის. ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მიზანი,რომელსაც ,,რბილი ძალის'' მეშვეობით ახორციელებს, უსაფრთხოების შემდგომ დემოკრატიის ხელშეწყობა და განვითარებაა, ადამიანის უფლებების დაცვა,გარემოს დაცვის მაღალი დონე.რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს,ცივი ომის პერიოდში,როცა არსებობდა საერთო მტერი და საფრთხე საბჭოთა კავშირის/კომუნიზმის ექსპანსიის სახით,ევროპასთან მჭიდრო სტრატეგიულ ურთიერთობას ინარჩუნებდა,მას შემდეგ,აშშ–ს დამოკიდებულება და განწყობები ევროკავშირთან დამოკიდებულია აშშ–ს პრეზიდენტზე და მის საგარეო პოლიტიკის კურსზე.

Annotation

Relations between the European Union and the United States of America in the Strategic Stability of 21st Century

In the context of strategic stability of 21st century relations between two global players-European Union and USA are one of the most important power of international politics.It must me noted,that they have a long history of cooperation and it has been improving from the Cold War era to nowadays.If Europe's defense and security was guaranteed by USA aid and support during Cold War,at the present moment it is struggling to take care of its own defence,to find its place in Anarchistic system,that is not effortless in the context of globalization.After its main priority-security,the aim and purpose of European Union's Foreign Policy,which it is implementing by "Soft Power", is supporting and improving core democratic values and human rights,promoting the high level of environmental protection.As for the United States,it was keeping close relations to Europe during Cold War,when they had common enemy and threat-Soviet Union/Communism expansion,after that the attitudes and purposes of USA towards European Union depends on private visions and positions of United States of America.

Diana Giglemiani

სარჩევი

შესავალი 5

I **თავი** ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები ცივი ომის პერიოდში 11

1.1 რა არის სტრატეგიული სტაბილურობა? 12

1.2 ცივი ომის ტრანსატლანტიკური სოლიდარობა და მის წინაშე არსებული გამოწვევები 17

II **თავი** ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკური მიდგომები გეოპოლიტიკური ტრანზიციის პირობებში 24

2.1 აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები - ქლინთონის, ბუში-უმცროსი და ობამას ადმინისტრაციის მმართველობისას 25

2.2 აშშ-ს „ევროპული“ გეოპოლიტიკის თავისებურებანი 34

III **თავი** ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული პარტნიორობის შედარებითი ანალიზის გეოპოლიტიკური ასპექტები 38

3.1. „ტრანს-ატლანტიკური თანამშრომლობის ქარტია“ - რეალობა და მითი 40

3.2. აშშ-ევროკავშირის გეოსტრატეგიული თანამშრომლობის აქტუალური ასპექტები (სამშვიდობო მისიები, „ბერლინი+“ მოდელი) 42

დასკვნა 57

გამოყენებული ლიტერატურა 61
გამოყენებული ინტერნეტ რესურსი 63

შესავალი

დღესდღეობით საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების განვითარებისა და გამოწვევების ფონზე საკმაოდ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს ორი გლობალური აქტორის, ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები.

თემის აქტუალობას დიდ ინტერესესს სძენს თავად ორი ფენომენი-აშშ და ევროკავშირი, რომელთა განხილვა ცვალებად მსოფლიოში საინტერესოა როგორც ინდივიდუალურად, ასევე შედარებითი ანალიზის მეთოდით.

რა დამოკიდებულება აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებს 28 წევრი ქვეყნისგან შემდგარ ევროკავშირთან, რომელიც განვითარებისა და ცივილიზაციის კერაა, თუმცაღა მეორე მხრივ დიდი გამოწვევების წინაშე დგას.

როგორც ვიცით, ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები უკვე ექვს ათწლეულს ითვლის. ურთიერთობები მრავალმხრივია ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას სწორედ საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება წარმოადგენს.

21-ე საუკუნეში, მაშინ როცა სახელმწიფოები ჯერ კიდევ ვერ შეთანხმებულან, რომ მშვიდობა უალტერნატივოა, ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული

შტატების მჭიდრო თანამშრომლობა უსაფრთხოებასა და მშვიდობის მშენებლობაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია.

რა ფაქტორები უწყობენ და უშლიან ხელს მათ ურთიერთობას,რა ისტორია უძღვის წინ მათ თანამშრომლობას,რა როლი აქვს მათ კოორდინაციას საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში-ეს არასრული ჩამონათვალია იმ საკითხებისა, რომლის გარშემოც არაერთი სამეცნიერო დებატი თუ ფორუმი გამართულა და იმართება საერთაშორისო მასშტაბით.

გამოვკვეთეთ **თემის ჰიპოთეზა**,ანუ მეცნიერული ვარაუდი,რომელიც მოგვიანებით დავამოწმეთ და დავასაბუთეთ და რომლის საფუძველზეც შემდგომ გავაკეთეთ დასკვნა:

- ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს ბევრი საერთო ნორმა ახასიათებთ და მათ ურთიერთობას სიმბიოზური შეგვიძლია ვუწოდოთ,თუმცაღა ინტერესთა სხვაობა და მსოფლიოს სხვადასხვაგვარად აღქმა განაპირობებს იმ ფაქტს,რომ ხშირად მათი მოსაზრებები უსაფრთხოების სფეროში არ ემთხვევა. ამას ემატება საერთო საფრთხის გაქრობა საბჭოთა კავშირის სახით.

წარმოდგენილი ნაშრომის **საკვლევ კითხვებად** გამოვყავით შემდეგი:

- რა განაპირობებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის ინტერესთა სხვაობას, რაში გამოიხატება მათი საერთო აზრი და რაში ვერ თანხმდებიან?
- რაში გამოიხატება ევროკავშირისა და აშშ-ს ურთიერთობის სიმბიოზურობა?
- რა გავლენას ახსენს გეოპოლიტიკური და საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ცვლილებები ევროკავშირისისა და აშშ-ს ურთიერთობებზე?

- რამ გამოიწვია ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებული შტატებს შორის ურთიერთობის გაცივება ცივი ომის შემდეგ?

ჩვენ მიერ არჩეული თემის მიზანია თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანოს ამ დისკუსიაში და კვლევის საფუძველზე მცირეოდენი დახმარება მაინც გაუწიოს ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს.

კვლევის შედეგად გამოიკვეთება ძირითადი ასპექტები,რის შედეგადაც განისაზღვრება ურთიერთობის განვითარების შესაძლო ალტერნატივები და სცენარები.

კვლევის ამოცანაა ისტორიული რეალობის შესწავლის საფუძველზე ჩამოაყალიბოს ურთიერთობის ტენდენციები და სხვადასხვა გარემოებებისა და ფაქტორების ანალიზის საფუძველზე გამოავლინოს აქტუალური საკითხები, რომლებზეც ყურადღება ნაკლებადაა გამახვილებული და რომელიც სიახლის თქმის საშუალებას მოგვცემს.

თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდოლოგია მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან თეორიებს,როგორიცაა:

- ჯოშუა გოლდშტაინის გრძელი ციკლების თეორია იგივე ეკონომიკური აღმავლობისა და ომების ციკლის თეორია-თეორიის მიხედვით გლობალური ომები პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოს სერიოზულ ეკონომიკურ აღმავლობასთან.ეკონომიკურ წინსვლას შესაბამისი რესურსები ესაჭიროება,რომელთა მოსაპოვებლად ბრძოლა ხდება საჭირო,სწორედ ამიტომ,სახელმწიფო,რომელიც ჰეგემონობისკენ მიისწრაფვის,იწყებს სამხედრო პოტენციალის გამოყენებასა და ათვისებას,რომლის მეშვეობითაც ეკონომიკურ აღმავლობას უზრუნველყოფს.თუმცაღა ომი და ბრძოლა

სახელმწიფოს მხრიდან ბევრ დანახარჯსა და ენერგიას მოითხოვს,ამ პროცესში სუსტდება და მშვიდობიანი თანაცხოვრების ეპოქა დგება,ახალი 50-წლიანი ციკლი.

- „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია, იგი უკავშირდება ცნობილი ამერიკელი მკვლევარის - რიჩარდ კოენის სახელს. რიჩარდ კოენი გვთავაზობს უსაფრთხოების ისეთ მოდელს, რომელიც იდეალიზებული ქვაკუთხედიდან, პრაქტიკულად აღსრულებადი ხდება.
- ძალთა ბალანსი ან ძალთა წონასწორობა — ერთ-ერთი უძველესი და უმთავრესი კონცეფცია საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში. იგი მჭიდროდ უკავშირდება პოლიტიკურ რეალიზმს და გამომდინარეობს საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან.

სამაგისტრო ნაშრომის შესაქმნელად გამოვიყენეთ რამდენიმე კონკრეტული **კვლევის მეთოდი**,რომლებიც დაგვეხმარა საკვლევი თემის დახვეწასა და ფორმულირებაში:

- არსებული თეორიული მასალის განხილვა, ანალიზი და დასკვნების გამოტანა,რაც გულისხმობს შედარებითი მეთოდის გამოყენებით წყაროების შერჩევას და საჭირო მასალის გამოყოფას,მონაცემთა სიზუსტის შეფასებას;
- შემთხვევის გარჩევა Case study - დაგვეხმარება რეალური ფაქტების უკეთ ანალიზში;
- ნაშრომის დამუშავებისას გამოყენებული მეთოდოლოგია ძირითადად დაუფუძნა ემპირიულ კვლევას;
- თვისებრივი კვლევის მეთოდები:
- მონაცემთა ანალიზი;

- ინტუიციურ-ლოგიკური მეთოდი,რომელიც ითვალისწინებს სამეცნიერო ნაშრომის გამოცემას ესსეის სახით;
- ისტორიულ-აღწერილობითი;
- რაოდენობრივი კვლევის მეთოდები:
- პოლიტიკის კვლევის ანალიზი;
- კონტენტ ანალიზი.
- თვისებრივი სოციალური კვლევა-ჩაღრმავებული ინტერვიუები დარგის სპეციალისტებთან,მათი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება.
- გამოვყავით ნაშრომის **პრაქტიკული მნიშვნელობა**,რაც იმის დასტური იქნება,რომ კვლევა შედეგისმომცემია.ნაშრომი იქნება საჯარო და მის გამოყენებას შეძლებს ნებისმიერი დაინტერესებული სტუდენტი, მკვლევარი, დარგის სპეციალისტი, ექსპერტი თუ პრაქტიკოს-ანალიტიკოსი. შესაძლოა იგი დამატებით საკითხავ მასალად გამოიყენონ უმაღლეს სასწავლებლებში, ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურებზე.სამომავლოდ სასურველი იქნება საკვლევი თემის კიდევ უფრო გაღრმავება,რეკომენდაციების შემუშავება და სხვადასხვა ფორუმებზე წარდგენა გლობალური მშვიდობის მიღწევის მიზნით.ასევე აღსანიშნავია,ისიც რომ საკმაოდ რეალური და პრაქტიკული იქნება ნაშრომის ბროშურის სახით გამოცემა,რათა მაქსიმალურად ბევრ ადამიანს მიუწვდებოდეს ხელი წარმოდგენილ ინფორმაციასთან და შეძლოს ცოდნის გაღრმავება.
- რაც შეეხება საკვლევი თემის **თეორიულ მნიშვნელობას**,გამოვყოფდი იმ ფაქტს,რომ წარმოდგენილი ნაშრომი პირველი სიღრმისეული კვლევაა ამ თემის ირგვლივ,მითუმეტეს კი ქართულ ენაზე.ჩატარებულა არაერთი კვლევა და არაერთი სტატია დაწერილა ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობების შესახებ,თუმცაღა წარმოდგენილ ჭრილში

განხილული სამაგისტრო ნაშრომი იქნება ინოვაციური და თავის ადგილს დაიმკვიდრებს სხვა კვლევებთან ერთად.თემის თეორიული მიზანი არსებული თეორიების შესწავლა და გადამოწმებაა,რის შემდეგადაც დადგინდება თუ რომელი თეორია შეესადაგება და ხსნის უფრო მეტად ევროკავშირისა და ამერიკისშეერთებული შტატების ურთიერთობებს სტრატეგიული სტაბილურობის პირობებში.

კვლევის მოსალოდნელი შედეგები

ზოგად კონტექსტში შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ამ კვლევის მოსალოდნელი შედეგების კონკრეტული მიმართულეები:

- წარსულის გაანალიზების საფუძველზე შეაფასოს თანამედროვე ეტაპზე არსებული სიტუაცია და გამოწვევები;
- განიხილოს რიგი საფრთხეები, რაც შეიძლება აშშ-ისა და ევროკავშირის ურთიერთობის დაძაბვით შეიძლება იყოს გამოწვეული;
- ახალი მსოფლიო წესრიგისა და საერთაშორისო უსაფრთხოების ანალიზის ფონზე განსაზღროს ობიექტური ვითარება;
- კვლევის დასრულების შემდეგ დაიტერესებულ პირებს საშუალება ექნებათ უკეთ შეისწავლონ საკითხი,რადგანაც დღევანდელ დღეს, კონფლიქტებისა და ომების ფონზე, ადეკვატური ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების სტუდენტებისთვის.

ნაშრომის შექმნის პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი და შრომატევადი **მატერიალურ-ტექნიკური ბაზის** შექმნა **და საინფორმაციო რესურსების** მოძიება-დამუშავება გახლდათ,სამაგისტრო ნაშრომის წერის დროს გამოვიყენეთ ყველა ის ძირითადი ლიტერატურული წყარო,წიგნი,გამოცემა და ინტერნეტ რესურსი,რაც საკვლევი თემის ირგვლივ არსებობს.დავამუშავეთ

ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი მასალა და მათი ინტერპრეტირება წარმოვადგინეთ ნაშრომში.შედარების და ანალიზის მეთოდების გამოყენებით შევარჩიეთ ის წყაროები,რომელიც სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისთვის იქნებოდა საჭირო,ამ პროცესში დაგვეხმარა შემდეგი კრიტერიუმები:ავტორის კომპეტენტურობა და ცნობადობა,ინფორმაციის სიცხადე და გამოსადეგობა,რამდენად განახლებული იყო ინფორმაცია.

შესაძლებელია გამოვყოთ და მიმოვიხილოთ რამდენიმე ლიტერატურული წყარო,რომლებზე დაყრდნობითაც შეიქმნა წარმოდგენილი ნაშრომი:

1. ნაშრომის ჩამოყალიბებაში ძალიან დაგვეხმარა ნიკა ჩიტაძის წიგნი–,,ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი'',სადაც განხილულია ნატოს შექმნის ძირითადი მიზეზები, აშშ-ის, როგორც ნატოს წამყვანი სახელმწიფოს როლი ცივი ომის პერიოდში,ნატოს სტრატეგიული კონცეფციები „ცივი ომის" პერიოდში და ა.შ.;

2. სერგი კაპანაძის ,,ევროკავშირის პოლიტიკა'',სადაც განხილულია და გამოვიყენეთ მასალა ევროკავშირის ისტორიული განვითარებისა და ევროპის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შესახებ;

3. ინგლისურენოვანი მასალიდან გამოგვადგა David S.Yost–ის ნაშრომი– ''Strategic Stability in the Cold War Lessons for Continuing Challenges'' და ასევე Dr.Lewis A.Dunn–ის ''Some Reflections on Strategic Stability and its Challenges in Today's World'',სადაც აღწერილია თუ რა არის სტრატეგიული სტაბილურობა,მისი გამოწვევები,ადგილი და მნიშვნელობა როგორც ცივი ომის პერიოდში,ასევე დღესდღეობით

განახლებულ ინფორმაციასთან წვდომის მიზნით ვისარგებლეთ არაერთი ვებ–გვერდით. მათგან გამოვყოფდი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ–გვერდს– http://www.nplg.gov.ge/,რომელიც საქართველოს ძირითადი სამეცნიერო ბიბლიოთეკაა და სადაც საინტერესო ოფიციალური მასალა არის დაცული.

აღნიშნული ლიტერატურა და რესურსები მოკლე ჩამონათვალია იმ მასალისა,რაც კვლევის პროცესში დავამუშავეთ.სრული სია მითითებულია გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიულ ნუსხაში.

I თავი. ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები

ცივი ომის პერიოდში

ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს ურთიერთობების ხანგრძლივი,საინტერესო და ცვალებადი ისტორია აქვთ.ამ ისტორიის მანძილზე განსაკუთრებით აღსანიშნავი სწორედ ცივი ომის პერიოდია,რადგანაც მათ ,,საერთო მტერი''-საბჭოთა კავშირი ყავდათ და ეს გახლდათ მათი სიმბიოზური ურთიერთობის განმაპირობებელი.ამერიკული შეერთებული შტატებისთვის,რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ჰეგემონობისთვის იბრძოდა,მთავარ დაბრკოლებას საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა,ამიტომ იგი აქტიურად იბრძოდა კომუნიზმის ექსპანსიის შესაჩერებლად,ამას დაემატა ისიც,რომ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის-ნატოს შექმნის შემდეგ აშშ-ს ახალი საზრუნავი-დასავლეთ ევროპის ქვეყნებიც დაემატა,რომელთა უსაფრთხოებაც

მას ებარა.ცივი ომის პერიოდში ჰეგემონიისკენ მიმავალმა სახელმწიფომ არაერთი საგარეო-პოლიტიკური დოქტრინა თუ სამხედრო სტრატეგია შეიმუშავა,რომელთა მეშვეობითაც ახერხებდა წინსვლასა და განვითარებას.

1945 წლიდან აშშ ყველანაირად ცდილობდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების თავდაცვისუნარიანობის გაზრდას,ეკონომიკური და სოციალური კუთხით განვითარებას,ამ პროცესში აღსანიშნავია ,,მარშალის გეგმა'',გამოქვეყნებული 1947 წელს,რომელიც გულისხმობდა მატერიალური დახმარების გაწევას დასავლეთ ევროპის ქვეყნებისადმი,მათი ეკონომიკური რეაბილიტაციის მიზნით.

აღსანიშნავია,რომ სტრატეგიული სტაბილურობის პირობებში,მაშინ როცა სამყარო ორ პოლუსად იყო დაყოფილი-აშშ და საბჭოთა კავშირი,აშშ-ს ყველაზე მეტად ევროკავშირი ,,ჭირდებოდა'',ხოლო ევროკავშირს აშშ-ს თანადგომა,ამის მიუხედავად,ნატოს ამერიკელ და დასავლელ პარტნიორებს შორის დაძაბულობა შეინიშნებოდა,რაც იმაში გამოიხატებოდა,რომ ევროპულმა სახელმწიფოებმა კორეის ომში (1950-1953 წწ.)მონაწილეობაზე უარი განაცხადეს,საპასუხოდ აშშ-მ უარი განაცხადა სუეცის კრიზისში ჩართულიყო,რომელიც გახლდათ 1956 წელს წარმოებული ომი ეგვიპტის ტერიტორიაზე.ამ კონფლიქტის შემდეგ დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა გლობალური აქტორის როლი დაკარგეს,ხოლო აშშ დასავლეთის განვითარებული ქვეყნების უპირობო ლიდერად გადაიქცა.

წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებდა ასევე ის ფაქტიც,რომ ევროპელებმა გადაწყვიტეს საკუთარ უსაფრთხოებაზე თავადვე ეზრუნათ და ევროპის თავდაცვის თანამეგობრობის შექმნის მცდელობა ქონდათ,რისთვისაც1952 წელს ნატოს წევრმა ექვსმა ევროპულმა სახელმწიფომ-

საფრანგეთმა,გერმანიამ,იტალიამ,ჰოლანდიამ.ბელგიამ და ლუქსემბურგმა ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი.

მიუხედავად არსებული გამოწვევებისა და წინააღმდეგობებისა,ცივი ომის პერიოდში აშშ და ევროკავშირის ურთიერთობების შენარჩუნება დემოკრატიულმა ფასეულობებმა და საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლამ გადაწონა.

ცივი ომის პერიოდში ევროპის თავდაცვისუნარიანობა აშშ-ს დამსახურებით შესამჩნევად გაიზარდა,რასაც ადასტურებს ის ფაქტი,რომ 1979 წელს ევროპის ხუთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე განათავსეს 572 ერთეული ამერიკული რაკეტები „პერშინგ-2" და „ტომაგავკი".
ცივი ომის პერიოდში მსოფლიოს 34 ქვეყანაში აშშ-ს 1600-მდე სამხედრო ბაზა იყო განთავსებული,რომელთა ყველაზე დიდი რაოდენობა დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე ფიქსირდებოდა.[1]

1.1 რა არის სტრატეგიული სტაბილურობა?

სტრატეგიული სტაბილურობის კონცეფცია დღესდღეობით მრავალმხრივად განიხილება,იგი ისეთ მთავარ ასპექტებს მოიცავს,როგორიცაა:ბირთვული და სარაკეტო თავდაცვა,კიბერ შესაძლებლობი.კონტექსტში მოიაზრებენ როგორც ცივი ომის დროინდელ სტრატეგიული სტაბილურობის მემკვიდრეობას,ასევე ორმხრივი ურთიერთობის სტაბილურობას აშშ-რუსეთს,აშშ-ჩინეთს,ინდია-პაკისტანს,აშშ-ჩრდიელოეთ კორეას შორის.მათი ურთიერთობების სპეციფიკა

[1] ნ.ჩიტაძე,2008

შეიძლება განვიხილოთ როგორც ვიწრო,ასევე ფართო გაგებით,პოლიტიკურ-სტრატეგიული თვალსაზრისით.

ედუარდ ვარნერი,რომელიც აშშ-ს უშიშროების საბჭოს მდივანი გახლდათ ,,ახალი სტრატეგიული შეიარაღების ხელშეკრულების'' (New START) ფარგლებში,სტრატეგიულ სტაბილურობის სამ განმარტებას გვთავაზობს:

1.ყველაზე ვიწრო გაგებით,სტრატეგიული სტაბილურობა ბირთვული იარაღის გამოყენებისთვის სტიმულის არარსებობაა,ასევე სტიმულის არარსებობა გააუმჯობესონ ან შექმნან ბირთვული ძალა;

2.შედარებით ფართო გაგებით,შეიარაღებული კონფლიქტის არარსებობა ბირთვული იარაღის მფლობელ ქვეყნებს შორის;

3.ყველაზე ფართო გაგებით,სტრატეგიული სტაბილურობა აღწერს რეგიონალური და საერთაშორისო უსაფრთხოების გარემოს,სადაც სახელმწიფოები მშვიდობიანად,ჰარმონიულად,ერთმანეთისთვის ზარალის მიყენების გარეშე ცხოვრობენ.[2]

უმეტესად ტერმინი ,,სტრატეგიული სტაბილურობა''ცივი ომის პერიოდთან ასოცირდება,როდესაც სტაბილურობა მეტწილად დამოკიდებული და დაყრდნობილი იყო ორმხრივ თავდაცვაზე,რასაც ბირთვული შესაძლებლობები განაპირობებდა.

მე-20 საუკუნის ისტორია ორი მთავარი და მნიშვნელოვანი გლობალური მოვლენით შეიძლება დახასიათდეს.პირველი,მულტიპოლარული ევროპული წესრიგი,ჩამოყალიბებული მე-19 საუკუნის დასაწყისში,რომელიც ადრეულ

[2] Elbridge A.Colby,Michael S.Gerson, 2013

1940-იან წლებში ნაცისტების გერმანიაში აღზევებით დასრულდა და მეორე,მეორე მსოფლიო ომის დასრულება,რამაც ბიპოლარულ სისტემას დაუდო დასაბამი,რაც ისტორიული სტანდარტებით გეოპოლიტიკური ტრანზიციის მოკლევადიანი მოვლენა იყო და საბჭოთა კავშირის დაშლით დასრულდა.დაუყოვნებლივი ცივი ომის მსოფლიო შეიძლება დავახასიათოთ,როგორც დე-ფაქტო უნიპოლარული,თუმცაღა 9/11-ის შემზარავმა მოვლენებმა,ასევე ბუშის ადმინისტრაციის არც თუ ისე სახარბიელო საგარეო პოლიტიკამ ამერიკის შეერთებული შტატების პრესტიჟი და გავლენა საკმაოდ შელახა,მისი კვაზი-ჰეგემონია მალევე დასრულდა.

სტრატეგიული სტაბილურობის,როგორც ტერმინის გაშიფვრა ცივი ომის პერიოდში დაიწყო,შეკავების,დაშინების პოლიტიკის ფარგლებში:ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობები სტაბილური იყო მანამ,სანამ ორივე მხარემ იცოდა,რომ ერთმანეთის მხრიდან ბირთვულ თავდასხმას დამანგრეველი გზით უპასუხებდნენ.სტაბილურობა ორი ელემენტისგან შედგებოდა-კრიზისის სტაბილურობა და გამალებული შეიარაღება.

იდეამ სტრატეგიული სტაბილურობის შესახებ ბევრი გაუგებრობა და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია,თუმცა ამის მიუხედავად საპატიო ადგილი დაიკავა ლიტერატურაში საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ როგორც მულტიპოლარულ,ასევე ბიპოლარულ სისტემაში,ასეთი პოპულარობა მალევე შეიცვალა 21-ე საუკუნეში,როცა სტრატეგიული სტაბილურობის კონცეფციის საჭიროების საკითხი დადგა.ბევრი ექსპერტი მიიჩნევს,რომ სტრატეგიული სტაბილურობის შენარჩუნება თითქმის შეუძლებელია,რადგანაც ატომური იარაღი მძვინვარე არა-სახელმწიფოებრივ აქტორებს საკმაო წინააღმდეგობას ვერ უწევს.

სტრატეგიული სტაბილურობის იდეას ბევრი მითი და არასწორი შეხედულება სდევს თან,რაც მას საკამათოს ხდის.იდეის ლოგიკა იყო წონასწორობა შეექმნა ცივი ომის ბიპოლარული დაპირისპირებისთვის საპასუხო შესაძლებლობების გაზრდის ფონზე,რაც თავის მხრივ შეამცირებდა ბირთვული თავდასხმის მოულოდნელ შესაძლებლობას.ეს დაყრდნობილია იმ ვარაუდზე,რომლის მიხედვითაც ომის პერსპექტივები შემცირდება თუკი ორივე მხარე დარწმუნებულია საკუთარი შესაძლებლობებით,ასეთ შემთხვევაში ორივე მხარეს ეცოდინება,რომ განზრახული ატომური თავდასხმა ოპონენტის განიარაღებისთვის გამოყენებული,მალევე კრახით დასრულდებოდა და მიზანს ვერ მიაღწევდა.

აღსანიშნავია ისიც,რომ საერთაშორისო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი გაურკვევლობა ფიქსირდება ტერმინის განსხვავებულ მნიშვნელობებთან დაკავშირებით,უფრო კონკრეტულად კი-სხვაობა ,,იარაღზე ორიენტირებული'' თუ სტრატეგიული სტაბილურობის მთლიანი კონცეფცია.ისმის კითხვა-იგი დიპლომატიური შეთანხმების და გაგების შედეგად მიღწეული შედეგია თუ ბირთვული პარიტეტის ეფექტი?

კონცეფცია სისტემატურად პირველად დევიდ ტალერმა და გლენ კენტმა განმარტეს ადრეულ 1990-იან წლებში,ისინი ფიქრობდნენ,რომ სტრატეგიული სტაბილურობა ბირთვული იარაღის შექმნის ან გამოყენებისთვის სტიმულის არარსებობას გულისხმობდა.

იდეის წინააღმდეგობრივ ხასიათს ისიც ემატება,რომ რიცხვები იმ იარაღისა,რომელიც თავდაცვისთვის იყო საჭირო,მხოლოდ პირობითი გახლდათ.ცივი ომის პერიოდში აშშ-ს სადაზვერვო სამსახურებმა დაადგინეს,რომ ასეთ შესაძლებლობებს ჭირდებოდა მინიმუმ ასობით

ბირთვული დანადგარი,თუმცაღა ცივი ომის პერიოდის შემდეგ ეს რაოდენობა გაცილებით ნაკლებია.აქედან გამომდინარეობს ის ფაქტი,რომ მეორადი შეტევის გამძლეობა (second strike) დამოკიდებულია იარაღის იმ ოდენობაზე,რისი გამოყენებაც შესაძლებელია მტრის წინააღმდეგ.ამგვარ სტრატეგიას საგანგაშო შედეგები აქვს,რადგანაც სამიზნე უპირატესად მჭიდროდ დასახლებული ქალაქები და ინდუსტრიული ინფრასტრუქტურაა,ასევე სამხედრო,სამოქალაქო და ეკონომიკური დაწესებულებები.იგი ფართომაშტაბიან ან სრულ ბირთვულ ომად მიიჩნევა.[3]

რაც შეეხება პირველად შეტევას (first strike),ამ დროს სახელმწიფო ცდილობს ბირთვული თავდასხმა განახორციელოს მოწინააღმდეგეზე მანამ,სანამ ის გააკეთებს ამას,ასეთ სამხედრო სტრატეგიას ,,უპირატესსაც'' უწოდებენ.სამიზნე შეიძლება იყოს როგორც სამხედრო,ასევე სამოქალაქო პირები,სამხედრო ქარხნები და ბაზები.მოწინააღმდეგის გასანადგურებლად შედარებით ლიმიტირებული რესურსი გამოიყენება.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის სამხედრო პოლიტიკის დამგეგმავები დღემდე განიხილავენ ბირთვულ შეტევას ერთმანეთის წინააღმდეგ,ამგვარად ორივე ქვეყანა თავდაცვის და თავდასხმის მიზნით მუდამ მზადყოფნაშია.როგორც მეცნიერების კვლევებმა და დასკვნებმა აჩვენა,ამგვარი ტიპის სტრატეგიები დამღუპველია,რადგანაც თუნდაც შეზღუდულმა და თუნდაც წარმატებით განხორციელებულმა შეტევამაც კი შესაძლოა გამოიწვიოს გლობალური კლიმატის ცვლილება,რაც პირდაპირ

[3] https://dailytimes.com.pk/40569/what-is-strategic-stability/

ასოცირდება დედამიწის მაცხოვრებლების უმეტესი ნაწილის სიკვდილიანობასთან.[4]

ცივი ომის დროს აბსოლუტურად რეალური იყო ორივე ბირთვული ომის ორივე ტიპი,როგორც ჰენრი კისინჯერი აღნიშნავდა,ლიმიტირებული ბირთვული ომი სავარაუდო იყო ძლიერ შეიარაღებული ბირთვული სახელმწიფოების მიერ (აშშ და საბჭოთა კავშირი).

როგორც ცნობილია,ბირთვული პოლიტიკა საგრძნობლად აზარალებდა როგორც აშშ-ს,ასევე საბჭოთა კავშირის ეკონომიკას.მოლაპარაკებების სერია,რომელთა მიზანი სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვა გახლდათ,ორ მთავარ შეთანხმებამდე მივიდა:1სშშშ I (SALT I - 1972) 2. სშშშ II (SALT II - 1979).რაც შეეხება მოლაპარაკებებს ბირთვული იარაღის შეზღუდვის შესახებ,1969 წელს ჰელსინკში დაიწყო და სამი მთავარი ხელშეკრულებით დაგვირგვინდა-START-I (1991), START-II (1993) და START-III (2010).

შედეგად,1972 წელს,სტრატეგიული შეიარაღება შეზღუდეს,ხოლო 1979 წელს ბირთვული შეიარაღების ყველა სახეობის გამოყენება შეზღუდეს.აღსანიშნავია ისიც,რომ ზემოთ ნახსენები მოლაპარაკებების შედეგად ბირთვული იარაღი არ გამოყენებულა,თუმცაღა ასტრონომიული თანხები იხარჯებოდა მათ განიარაღებაზე.

ცივი ომის დასრულების შემდეგ,როცა მსოფლიო პოლიტიკა აშშ-საბჭოთა კავშირი მეტოქეობაზე და მათ ქმედებებზე აღარაა დამოკიდებული,როცა საბჭოთა კავშირი დიდი ხანია დაიშალა,ისმის კითხვა-საჭიროა თუ არა

[4]https://geoarmada.wordpress.com/2013/01/13/%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98/#more-643

შეიქმნას სტატეგიული სტაბილურობის ახალი კონცეფცია,რომელიც 21-ე საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების მოვლენების გათვალისწინებით იქნება შედგენილი და ადაპტირებული.ცივი ომის დასრულებისთანავე ვაშინგტონისა და მოსკოვის მხრიდან მოსალოდნელი იყო სამხედრო-პოლიტიკური ფუნდამენტალური ტრანფორმაცია და დროსთან ერთად სტრატეგიული სტაბილურიბის მნიშვნელობის დაკარგვა.საერთაშორისო უსაფრთხოების ხელშეწყობისთვის დღევანდელ დღეს ძალიან მნიშვნელოვანია ამ ორი ქვეყნის სტრატეგიის სტაბილურობა აღმოსავლეთ-დასავლეთის სამხედრო კონფრონტაციის კონტექსტში.[5]

დღესდღეობით აშშ და რუსეთი ერთმანეთს მეტოქეებად და მტრებად არ მიიჩნევენ,მათ ურთიერთობას ბირთვული საფრთხე ნაკლებად აბრკოლებს,თუმცაღა ბირთვული თავდასხმის შესაძლებლობა 21-ე საუკუნეში სავსებით მოსალოდნელი და რეალურია,ცივი ომის კონფრონტაცია ისტორიაა,თუმცაღა სტრატეგიული სტაბილურობის გამოწვევები რჩება. არცერთი ქვეყანა არის მზად შესაბამისად შეხვდეს და გაუმკლავდეს ბირთვულ თავდასხმას,შესაბამისად ბირთვული შეკავების სტრატეგია მათი უსაფრთხოების კონცეფციის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.აქედან გამომდინარე, თანამედროვე მსოფლიოში სტრატეგიული სტაბილურობის სტრატეგია აქტუალობას არ კარგავს.ამ მოსაზრებას ბევრი ანალიტიკოსი და ექსპერტი ადასტურებს,რადგანაც სტრატეგიული სტაბილურიბის კონცეფცია ეხმარება აშშ-რუსეთის

[5] Dr.Lewis A.Dunn, 2017

ურთიერთობების განსაზღვრას,რომელშიც ეჭვი და უნდობლობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

ახალ სტრატეგიული სტაბილურობის კონცეფციას კრიტიკული ანალიზი ჭირდება,რათა საფუძვლიანად და ხარისხიანად გამიჯნოს ცივი ომის და დღევანდელი პირობები,ამ პროცესში ცივი ომის გამოცდილება შთამაგონებლად შეიძლება ჩაითვალოს.ცივი ომის ისტორიისა და შედეგების გაანალიზება,გადახედვა გაკვეთილს ჩაუტარებს საერთაშორისო უსაფრთხოებას,რომელიც იქნება როგორც პოზიტიური,ასევე ნეგატიური ნიშნების მატარებელი.ეს პროცესი ძალიან მნიშვნელოვანია,რადგანაც დღევანდელ დღეს სტრატეგიული სტაბილურობა კომპლექსური თემაა,საერთაშორო ასპარეზზე მრავალი რეგიონალური მოთამაშე გამოიკვეთა,რომელთაც სტაბილურობასა და არასტაბილურობაზე განსხვავებული ხედვა აქვთ.

1.2 ცივი ომის ტრანსატლანტიკური სოლიდარობა და მის წინაშე არსებული გამოწვევები

ცივი ომის პერიოდამდე საერთაშორისო სისტემა ევროცენტრისტული იყო-ევროპა მისი მთავარი მამოძრავებელი ძალა გახლდათ,მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ვითარება შეიცვალა,წარმოიშვა ვაკუუმი,სადაც ორი არაევროპული სახელმწიფო უპირისპირდებოდა ერთმანეთს,ევროპა კი უკანა პლანზე გადავიდა. გერმანული ფაშიზმის საბოლოოდ დამარცხების შემდეგ,დემოკრატიული სახელმწიფოები ახალი და არანაკლებ მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დადგნენ,მათ წინაშე იყო საკმაოდ რეალური საფრთხე-კომუნისტური იდეოლოგიის დანერგვა და გავრცელება,რაც თავისთავად საბჭოთა კავშირის აღზევებას გულისხმობდა.ეს

უკანასკნელი იმ დროისთვის საკმაოდ მოძლიერებული გახლდათ,იმ მარტივი მიზეზის გამო,რომ მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთ გამორჩეულ გამარჯვებულს წარმოადგენდა,მისი პოზიციები და დომინანტობა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში განმტკიცდა,განსაკუთრებით ეს აღმოსავლეთ ევროპას შეეხო,სადაც სტალინისთვის დამახასიათებელმა დესპოტურმა მმართველობამ არადემოკრატიული ფორმების გავრცელება გამოიწვია არაერთ ქვეყანაში.საბჭოთა კავშირი ავრცელებდა რეჟიმს,რომლის მიხედვითაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო პოლიტიკური,სოციალური და სამოქალაქო უფლებების დარღვევა,თავისუფლების შეზღუდვა.ამგვარმა შემთხვევებმა აღაშფოთა მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების საზოგადოება და ეს საკმაოდ სამართლიანი,ლოგიკური რეაქცია იყო იმ ტირანულ ფორმებზე,რომელიც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში იკიდებდა ფეხს.მათი მხრიდან რეაქცია იყო საკმაოდ სწრაფი და ცივი ომის დაწყებისთანავე დაიწყეს ფიქრი იმ გეგმებზე,რაც სსრკ-ს გეოპოლიტიკურ ,,პარპაშს'' ევროპაში ბოლოს მოუღებდა.[6]ამ კუთხით აღსანიშნავია დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ მინისტრის,უინსტონ ჩერჩილის 1946 წლის 5 მარტის მოხსენება აშშ-ს ქალაქ ფულტონში,სადაც პრეზიდენტ ჰარი ტრუმანის მიწვევით იმყოფებოდა.მან საბჭოთა კავშირის მიერ შუა ევროპაში,აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ,,რკინის ფარდის'' ჩამოშვებაზე ისაუბრა,ეს გულისხმობდა საზღვარს,რომელიც იდეოლოგიურად და ფიზიკურად ევროპას ორ ნაწილად ჰყოფდა.ჩერჩილმა მოუწოდა აშშ-ს ახლო ურთიერთობა ჰქონოდა მსოფლიოს დემოკრატიულ სახელმწიფოებთან,განსაკუთრებით კი დიდ ბრიტანეთთან,მსოფლიოში თავისუფლების მიღწევის მიზნით.ტერმინი იოზეფ გებელსმა,გერმანელმა

[6] ნ.ჩიტაძე,2008

სახელმწიფო მოღვაწემ გამოიყენა პირველად,თუმცა ჩერჩილის მიერ წარმოთქმული განსაზღვრება,,რკინის ფარდა''საყოველთაოდ გავრცელდა.,,ფულტონის სიტყვა''ცივი ომის მომასწავებელი და განმაცხადებელი გამოსვლა გახლდათ.იმისთვის,რომ სსრკ-სგან მომავალი ბოროტება თავიდან აეცილებინათ,ჩერჩილის იდეა იყო თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების მიზნით შექმნილიყო ბრიტანულ-ამერიკული სამხედრო კავშირი.

აშშ-ს და დიდ ბრიტანეთს მართლაც განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდათ,თუმცა დასუსტებულმა დიდმა ბრიტანეთმა 1947 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებს აცნო,რომ მას აღარ შეეძლო საბერძნეთისა და თურქეთში ჯარების შენარჩუნება.ამ განცხადების საპასუხოდ ჰარი ტრუმენმა,აშშ-ს იმდროინდელმა პრეზიდენტმა იმავე წლის 12 მარტს კონგრესის ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე ,,ტრუმენის დოქტრინა'' წარადგინა.დოქტრინის მთავარი დანიშნულება იყო თავისუფალი ხალხების დახმარება გარე ზეწოლის წინააღმდეგ,მატერიალური დახმარება 400 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა.აღნიშნული პროგრამა კონგრესმა კანონის ძალით მიიღო 1947 წლის 15 მარტს,აშშ-თურქეთმა და აშშ-საბერძნეთმა ხელშეკრულებებს მოაწერეს ხელი.ამ ორი ქვეყნის სახით აშშ-მ მნიშვნელოვანი სტრატეგიული მოკავშირეები დაიახლოვა,რითაც მის შესაძლებლობებს წინ აღდგომოდა საბჭოთა კავშირის ექსპანსიას კიდევ უფრო განამტკიცებდა.

,,ტრუმენის დოქტრინა'' კომუნიზმთან ბრძოლის წინააღმდეგ იმდროისთვის პირველ ოფიციალურ დოკუმენტად იქცა,რომელმაც დასაბამი დაუდო

საბჭოთა კავშირის მიერ განხორციელებული იდეოლოგიური და გეოპოლიტიკური ძალადობის შეჩერებას.[7]

ამერიკის შეერთებული შტატების გლობალური გეოპოლიტიკური კოდის მთავარი კონცეფცია ცივი ომის დასაწყისში ,,შეჩერების პოლიტიკად''მოიხსენიება,გეოპოლიტიკურ წყაროებში მას ,,ჰართლანდის ნეიტრალიზაციასაც''უწოდებენ.აღნიშნული პოლიტიკის მთავარი მისია ჰართლანდის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკებით გარშემორტყმა გახლდათ,ამ ბლოკების წევრი ქვეყნები აშშ-ს უახლოესი სტრატეგიული მოკავშირეები-ნატო,სენტო,სეატო,აზპაკი,ანზიუსი იქნებოდნენ.რკალში შემავალი მოკავშირეები პასუხისმგებლობას აიღებდნენ სოციალისტური ქვეყნების გარშემორტყმასა და კომუნიზმის შეკავებაზე.

მიუხედავად იმისა,რომ ,,შეკავების პოლიტიკა'' შედეგისმომცემად და სტრატეგიულად დახვეწილ მცდელობად ეჩვენებოდათ,დროის გასვლასთან ერთად,რასაც თან ახლდა კოსმოსის სივრცის ათვისება,სამხედრო ავიაციაში მიმდინარე საგრძნობი პროგრესი,ბალისტიკური რაკეტების შექმნა ნათელი მოჰფინა იმ ფაქტს,რომ ამერიკის შეერთებული შტატების ინიცირებული გეოპოლიტიკური კოდი სრულიად ,,მოძველებული'' და არაეფექტური იქნებოდა და ზემოთ ნახსენებ პროგრესს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა.[8]

დაპირისპირებას ,,ცივი ომი''ეწოდა,რადგანაც იდეოლოგიური ხასიათის იყო,მათ მიზნებში უშუალო კონფლიქტი არ შედიოდა,იმ მარტივი მიზეზის გამო,რომ აშშ-ც და საბჭოთა კავშირიც ბირთვული სახელმწიფოები იყვნენ და სტრატეგიული სტაბილურობის პირობებში ერთმანეთს ამგვარად ვერ შეერკინებოდნენ.

[7] ნ.ჩიტაძე,2008

[8] ზ.დავითაშვილი, ,,გეოპოლიტიკა ცივი ომის პერიოდში'',ჟურნალი#12

ამ პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი გახლდათ მოვლენა,რომელიც ცივი ომის ტრანსატლანტიკური სოლიდარობისთვის გადადგმული დიდი და ეფექტური ნაბიჯი იყო.დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის (აშშ,კანადა) 12 სახელმწიფოს მეთაურებმა 1949 წლის 4 აპრილს ვაშინგტონის ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი,რაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის-ნატოს შექმნას მოასწავებდა.

ნატო ალიანსია,რომელიც ცივი ომის ტრანსატლანტიკური სოლიდარობის გამოსახატავად შეიქმნა,საერთო მტრის-საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად.როგორც ვიცით,კოალიციები წინასწარ განსაზღვრული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად იქმნება,რომელთა შესრულების შემდეგაც კავშირები იშლება.გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენდა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია,მან ფუნქციონირება არსებული მიზნის მიღწევის შემდეგაც განაგრძო დ დღეს,როცა ეს ,,მტერი''აღარ არსებობს,დასავლეთის ფარია მოსალოდნელი საგარეო საფრთხისგან.

როგორც ჩრდილო–ატლანტიკური ხელშეკრულების უმთავრეს პრინციპებში აღნიშნულია,ნატო ტრანსატლანტიკური კავშირის გამოხატულებაა,რომელიც ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის უსაფრთხოებას აერთიანებს.

კომუნიზმიდან მომავალი მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად და გასანეიტრალებლად რიგმა სახელმწიფოებმა გაწონასწორების სტრატეგიას მიმართეს,რომლის მიხედვითაც ნათელი იყო,რომ გაერთიანებული ძალისხმევა უფრო მეტ შედეგს მოიტანდა აგრესორისგან თავდასაცავად.ამას ემატებოდა იდეოლოგიური სოლიდარობის ფაქტორი,12 სახელმწიფოს ბევრი საერთო პოლიტიკური და იდეოლოგიური შეხედულება

ჰქონდათ,თუმცა აღსანიშნავია ისიც,რომ ცივი ომის პერიოდში,მაშინ,როცა მსოფლიო ორ იდეოლოგიურ ბანაკად იყო გაყოფილი,ბევრ უჩვეულო ფაქტს ჰქონდა ადგილი.იუგოსლავია,რომელიც კომუნისტური რეჟიმის ქვეყანას წარმოადგენდა,სულაც არ ყოფილა საბჭოთა კავშირის მოკავშირე,მას ყველაზე მეტად სწორედ ამ უკანასკნელისგან მომავალი აგრესიის ეშინოდა და ფაქტობრივად დასავლეთის მხარეს გადავიდა.

იმ პერიოდში არსებულმა საერთაშორისო სისტემის ხასიათმა დიდი გავლენა მოახდინა ნატოს შექმნაზე და მის ფუნქციონირებაზე,ბიპოლალურმა სისტემამ მოკავშირეებს კონკრეტული ინტერესები და ვალდებულებები შეუქმნა.ამერიკის შეერთებულ შტატებს ნათლად გამოხატული მიზანი ჰქონდა-კომუნიზმისგან მომავალი საფრთხე თავიდან აეცილებინა საბჭოთა ორბიტის გარეთ მდგომი ქვეყნებისთვის,იდენტური მიზანი ამოძრავებდა საბჭოთა კავშირს,აშშ-ს ორბიტის მიღმა დარჩენილი ქვეყნებისადმი.აქედან გამომდინარე ნატოს,და შემდგომში ვარშავის პაქტის შექმნა აღნიშნული მიზნების ინსტიტუციონალიზაცია გახლდათ.

ახლადშექმნილმა თავდაცვითმა კავშირმა-ნატომ იმ პერიოდში ნამდვილად გაამართლა,მან შეძლო და პოტენციური აგრესორი შეაკავა,მეტწილად ეს მისი გამოკვეთილი ლიდერის-ამერიკის შეერთებული შტატების ძალისხმევით მოხერხდა.

ალიანსის შექმნიდან სულ რაღაც ხუთი თვის შემდეგ ეს უკანასკნელი ძალიან რთული გამოწვევის წინაშე დადგა,1949 წელს საბჭოთა კავშირმა ატომური იარაღი გამოსცადა,რაც პირდაპირ კავშირში იყო იმასთან,რომ აშშ თავის ატომურ ჰეგემონიასა და მონოპოლიას კარგავდა,ბრუნდებოდა ძალთა ბალანსი და სტრატეგიული წონასწორობა და იწყებოდა 50-წლიანი დიდი

დაპირისპირება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.ამ მოვლენას ისიც ემატებოდა,რომ 1949 წელს ჩინეთის ხელისუფლებაში მაო ძე დუნი,კომუნისტური ლიდერი მოვიდა,რაც საბჭოთა კავშირს ხელს აძლევდა.რეალური იყო კომუნიზმის მომძლავრების საფრთხე.

მე-20 საუკუნის შუა ხანებში,ანუ არც თუ ისე ისე დიდი ხნის წინ,მსოფლიო შემზარავი რეალობის წინაშე დადგა-ეს იყო ეპოქა,როცა არც ომი იყო და არც მშვიდობა,კონფლიქტი მსოფლიო ომში იმ მარტივი მიზეზის გამო არ გადაიზარდა,რომ ორივე პოლუსი ბირთვულ იარაღს ფლობდა და მისი გამოყენება კაცობრიობის მასიური განადგურების საშიშროებას აყენებდა და გამარჯვებული არავინ დარჩებოდა.თუმცაღა,საკმაოდ დიდი ზარალი მოჰქონდა ასევე ლოკალურ კონფლიქტებს,ამ პერიოდში უამრავი ისტორიული მოვლენა მოხდა,რომლებიც მსოფლიო პოლიტიკაში და ისტორიაში სამუდამოდ ჩაიბეჭდა,მათ შორის აღსანიშნავია ბერლინის კრიზისი (1948-49), გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა (1949), კომუნისტური რეჟიმის დამყარება ჩინეთში (1949), კორეის ომი (1950-53), სსრ კავშირის მიერ უნგრეთის სამხედრო ოკუპაცია (1956), ბერლინის კედლის მშენებლობა (1961), კარიბის კრიზისი (1962), ვიეტნამის ომი (1965-72), ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია (1968).ამ კონფლიქტებმა მსოფლიო რამდენჯერმე ბირთვული ომის საფრთხის წინაშე დააყენა.

ამერიკის შეერთებული შტატები ცივ ომში უდავო უპირატესობით სარგებლობდა,იგი კაპიტალისტური სამყაროს ლიდერი იყო,ცივი ომი გარკვეულწილად მისი მოძლიერების ეპოქაც გახლდათ,იგი ცდილობდა მთელ არაკომუნისტურ სამყაროშო ეკონომიკური და პოლიტიკური ბატონობა მოეპოვებინა.

,,1985 წლის აპრილში საბჭოთა კავშირის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის (აღმოსავლეთ გერმანია), უნგრეთის, პოლონეთისა და რუმინეთის კომუნისტური და მშრომელთა პარტიების გენერალური მდივნები შეიკრიბნენ ვარშავაში. მათ ხელი მოაწერეს დოკუმენტს რომელიც აგრძელებდა 1955 წლის შეთანხმებას მეგობრობაზე, თანამშრომლობასა და ერთმანეთის დახმარებაზე, რამაც წარმოქმნა საბჭოთა პოლიტიკურ-სამხედრო ალიანსი აღმოსავლეთ ევროპაში. ვარშავის პაქტი უპირისპირდებოდა ნატოს. 1949 წელს ჩამოყალიბებული ნატოსგან განსხვავებით, ვარშავის პაქტი არ იყო დამოუკიდებელი ორგანიზაციული სტრუქტურა,არამედ მას ჰქონდა საბჭოთა კავშირის, თავდაცვის სამინისტროს ნაწილის ფუნქციები. საბჭოთა კავშირი იყენებდა ვარშავის პაქტს თავისი დაარსებიდან 30 წლის მანძილზე, როგორც მთავარ მექანიზმს აღმოსავლეთ ევროპაში საომარი და პოლიტიკური კონტროლის დამყარებისათვის. საბჭოთა კავშირს სჭირდებოდა ვარშავის პაქტი, რათა შეექმნა შთაბეჭდილება ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებისა და დაემალა სიმართლე თავისი პოლიტიკური დომინირების და საომარი ჩარევის შესახებ მრავალი ქვეყნის საშინაო საქმეებში. საბჭოთა კავშირი ვარშავის პაქტს იყენებდა, აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპული სოციალისტური ქვეყნების ჯარების გასავითარებლად და მათი საომარი სტრატეგიის გამოსაყენებლად. 1955 წლის პაქტის დადებამდე დიდი ხნით ადრე საბჭოთა კავშირმა ჩამოაყალიბა აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების ალიანსი, რომელიც ემსახურებოდა მისი უსაფრთხოების ინტერესებს. აღმოსავლეთ ევროპის ფაშისტური გერმანიისგან განთავისუფლებისას, მეორე მსოფლიო ომის დროს, წითელმა არმიამ დაამყარა პოლიტიკური და საომარი კონტროლი ამ რეგიონზე. საბჭოთა კავშირის სიდიდემ, ეკონომიკურმა წონამ და დიდმა სამხედრო ძალამ

განაპირობა მისი, როგორც ქვეყნის, დომინირება ევროპის ამ ნაწილში. საბჭოთა კავშირს უნდოდა აღმოსავლეთ ევროპის გამოყენება ბუფერულ ზონად თავისი დასავლეთი საზღვრების დასაცავად და იდეოლოგიური გავლენის გასავრცელებლად.მეორე მიზეზი იყო სამშობლოს დაცვა საბჭოთა კავშირის უშიშროების პრიორიტეტების იერარქიაში. აღმოსავლეთევროპული ქვეყნების დაქვემდებარებით საბჭოთა კავშირმა უზრუნველყო თავისი კონტროლი რეგიონზე. 1955 წლის მაისში საბჭოთა კავშირმა ჩამოაყალიბა აღმოსავლეთ ევროპის ალიანსის სისტემა. ვარშავაში ერთად შეიკრიბნენ წარმომადგენლები ალბანეთიდან, ბულგარეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, უნგრეთიდან, პოლონეთიდან და რუმინეთიდან. მათი მიზანი იყო ხელი მოეწერათ მრავალმხრივი შეთანხმებისათვის მეგობრობაზე, თანამშრომლობაზე და ურთიერთდახმარებაზე, რომელიც ჰგავდა უკვე ძალაში შესულ მათ ორმხრივ შეთანხმებას საბჭოთა კავშირთან. ლეგალური მრავალმხრივი ალიანსის ფორმირებამ გააძლიერა საბჭოთა კავშირის პრეტენზია მსოფლიოში სოციალისტური სისტემის ლიდერობაზე, გაზარდა მისი პრესტიჟი და დააკანონა მისი არსებობა და გავლენა აღმოსავლეთ ევროპაში. ნატოს ჩამოყალიბებამდე (1949 წელს) საბჭოთა კავშირს მნიშვნელოვანი მიზეზები ჰქონდა არაფორმალური კავშირის სისტემის ჩამოყალიბებისათვის, მაგრამ ვარშავის პაქტმა, როგორც ფორმალურმა ორგანიზაციამ, საშუალება მისცა საბჭოთა კავშირს, რომ ოფიციალურად შეწინააღმდეგებოდა ნატოს დასავლურ-აღმოსავლურ დიპლომატიაში. ვარშავის პაქტმა მისცა საბჭოთა კავშირს თანასწორი სტატუსი ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რადგან იგი იყო ლიდერი დამოუკიდებელი ქვეყნებისა, რომლებიც მხარს უჭერდნენ მის შინაგან პოლიტიკას საერთაშორისო არენაზე. ვარშავის პაქტი ასევევ დაეხმარა საბჭოთა კავშირს

გაეადვილებინა საშინაო პოლიტიკის გავრცელება აღმოსავლეთ ევროპაში. ვარშავის პაქტმა საბჭოთა კავშირს დააკანონებინა საბჭოთა ჯარის ყოფნა და თავისი დიდი გავლენა აღმოსავლეთ ევროპაში.''[9]

ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი ცივ ომში ძალიან დიდ რესურს ხარჯავდნენ,აშშ-ს დიდად არ შეხებია კრიზისი,რადგანაც მთელი ომი მისი უპირატესობით მიდიოდა,საბჭოთა კავშირი კი დასუსტდა და მას კონკურენციის გაწევა აღარ შეეძლო.

1989 წელს გორბაჩოვმა და ჯორჯ ბუშმა დეკემბრის მალტის სამიტზე ერთად ამცნობეს სამყაროს ცივი ომის დასრულების შესახებ.

ვარშავის პაქტმა მთელი ცივი ომის განმავლობაში იარსება,თუმცა 1991 წელს რამდენიმე ქვეყანა გამოეყო,რამაც აღმოსავლეთ ბლოკის უკუსვლა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ცვლილებები მოყვა,ოფიციალურად ვარშავის პაქტი ანუ ვარშავის ხელშეკრულება 1991 წლის ივლისში დაიშალა.

,,ცივი ომის მიზეზებისა და შინაარსის შესახებ სამი განსხვავებული შეხედულება არსებობს. პირველი მათგანის მიხედვით, რომელიც დასავლეთის სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში იყო მიღებული, "ცივი ომის" წარმოებაში მთავარი დამნაშავე არის საბჭოთა კავშირი და მისი კომუნისტური რეჟიმი, რომელმაც მიზნად დაისახა მთელი მსოფლიოს "გაწითლება". აშშ კი იძულებული გახდა, წინ აღდგომოდა საბჭოთა ექსპანსიონიზმის საფრთხეს და გადაერჩინა დასავლური ფასეულობები. მეორე შეხედულებით, (საბჭოური შეხედულება), ცივი ომი გამოიწვია აშშ-ს იმპერატიულმა მისწრაფებებმა მსოფლიო ბატონობისაკენ და კომუნიზმის

[9] ჟვანია ნინო. საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია: სალექციო კურსი სოც. მეცნ. მაგისტრატურისათვის / ნინო ჟვანია;თბ.: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006 - 74გვ.

განადგურების განზრახვამ. მესამე შეხდულებით, გერმანიის განადგურებამ წარმოშვა ძალის ვაკუუმი. მაშასადამე, "ცივი ომი" იყო ჩვეულებრივი კონფლიქტი ბიპოლარული მსოფლიოს ორ ზესახელმწიფოს შორის და იდეოლოგიური მომენტი აქ მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებდა.[10]

II თავი. ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკური მიდგომები გეოპოლიტიკური ტრანზიციის პირობებში

1990-იან წლებში განვითარებულმა გეოპოლიტურმა ტრანზიციამ მნიშვნელოვნად იმოქმედა ძალთა ბალანსის ფორმირებაზე,განსაკუთრებით კი ევროპის ტერიოტორიაზე.

ცივი ომის დასრულებამ ბიპოლარული რღვევა გამოიწვია-თუ ცივი ომის პერიოდში ერთმანეთს ორი მთავარი აქტორი-აშშ და საბჭოთა კავშირი ებრძოდა და მსოფლიო ორ ბანაკად იყო გაყოფილი,თუ ძალა ორ პოლუსს შორის იყო კონცენტრირებული,ცივი ომის შემდეგ ძალთა ბალანსი მნიშვნელოვანწილად შეიცვალა და მსოფლიო ერთპოლუსიანი გახდა,რომლის წიაღშიც აშშ,როგორც უდავო დომინანტი წარმოჩინდა.1989-1992 წლიდან ახალი წესრიგის პირობებში რთული იყო ყოფილიყავი ის სახელმწიფო,რომელიც აშშ-ს გაუწევდა კონკურენციას.ყველა იდეამ,რომელიც დემოკრატიას ეწინააღმდეგებოდა,კრახი განიცადა,ავტორიტარული რეჟიმები დამარცხდნენ,საერთაშორისო ორგანიზაციებმა კი წარმატებით მოახერხეს ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების დანერგვა და გავრცელება.

[10] https://www.militarium.org/civi-omis-samxedro-analizi/

ახალი ათასწლეულის მსოფლიომ ახალი გამოწვევები და სისტემა მოიტანა თან,ერთპოლუსიანი სამყარო ნელ-ნელა მრავალპოლუსიანობისკენ გადაიხარა,ეს ფაქტი მრავალი მიზეზით იყო გამოწვეული.მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წინაშე რამდენჯერმე დადგა,ეს ვითარება აშშ-საც ხვდა წილად,იმძლავრა საერთაშორისო კრიმინალმა და ტერორიზმმა,ერაყისა და ავღანეთის ომებმა აშშ-ს ავტორიტეტი და პრესტიჟი შეასუსტა,ევროპა აღარ არის აშშ-ზე დამოკიდებული,იგი გეოპოლიტიკური აქტორი გახდა,რომელიც ცდილობს მსოფლიო ასპარეზზე დამოუკიდებელი ნაბიჯების გადაგმას,თუმცაღა ამას ხელს უშლის რუსეთის ფედერაციაზე დამოკიდებულება რუსული გაზის იმპორტის გამო,საგრძნლობლად გაიზარდა ჩინეთის ეკონომიკა,რამაც აშშ-ს ლიდერობა ეკონომიკური თვალსაზრისით ეჭვის ქვეშ დააყენა,მეტიც ამ უკანასკნელს ჩინეთის სოლიდური ვალი მართებს,მას უკვე აღარ ძალუძს ერთპიროვნულად იმოქმედოს ეკონომიკური და სამხედრო ჩარევის თვალსაზრისით.

მრავალპოლარულ სისტემაში ოთხი ძირითადი მოთამაშე გამოიკვეთა:

1.ამერიკის შეერთებული შტატები-ეკონომიკურად შესუსტებული,ნაკლები გავლენის სფეროებით,გაძლიერებული ტერორიზმით,შეინიშნება იზოლაციონალიზმისკენ მცირედი მიდრეკილება;

2.ევროკავშირი,როგორც დამოუკიდებელი აქტორი-1993 წლიდან,რაც ევროკავშირს ეკონომიკურთან ერთად პოლიტიკური გაერთიანების ტიტულიც ებოძა,მნიშვნელოვანი ცვლილებების ეპოქა დაიწყო,იგი პოტენციური ,,ზე''გახდა,გარკვეულწილად გაუთანაბრდა აშშ-ს და ახალი კონკურენტის სახით მოევლინა მას,1990 წლიდან დაიწყო საკუთარ უსაფრთხოებაზე თავად ზრუნვა და თავდაცვის პოლიტიკის შემუშავება.

3. რუსეთის ფედერაცია-ცნობილია

,,აგრესორის''სახელით,ენერგორესურსების ფლობით ახდენს მანიპულაციას ქვეყნებზე.

4.ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა-ახალი გეოპოლიტიკური მოთამაშე,სახელმწიფო განმაცვიფრებელი ეკონომიკური წინსვლით,აშშ-სთან ეკონომიკური თვალსაზრისით კარგი ურთიერთობა აქვს,დებს საკმაოდ დიდ ინვესტიციებს,თუმცა დაძაბულია ურთიერთობა სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით.

ამგვარი გეოპოლიტიკური ტრანზიციის პირობებში ამერიკის შეერთებულ შტატებს უწევს ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით ისეთი საგარეო პოლიტიკის გატარება,რომ შეინარჩუნოს ლიდერობა კვატროპოლარულ მსოფლიოში.

2.1 აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები - ქლინთონის, ბუში-უმცროსი და ობამას ადმინისტრაციის მმართველობისას

ცივი ომის დასრულებამ ბიპოლარული სისტემის დანგრევა გამოიწვია,1989-1992 მსოფლიოში ახალმა წესრიგმა დაისადგურა,სამყარო ერთპოლუსიანად გადაიქცა, სადაც ამერიკის შეერთებული შტატები უდავო დომიმანტად იყო წარმოდგენილი.

აშშ გახლდათ სუპერსახელწიფო,ზესახელმწიფო,იდეალი,რომელსაც მეტოქეობას ვერცერთი სახელმწიფო ვერ გაუწევდა,ვერც ეკონომიკური,ვერც სამხედრო თვალსაზრისით.იგი იყო ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი

სახელმწიფო.თუმცაღა,აშშ–ს ამ რთულ გზაზე ბევრი გამოცდის ჩაბარება მოუწია.ცივი ომის შემდეგ ეიფორიაში მყოფი სახელმწიფო გლობალიზაციის კომპლექსურ ეპოქაში ადაპტირდა,რაც აშშ–ს პოლიტიკის ცვლილებას მოითხოვდა,ევროპა,რომელიც ,,მარშალის გეგმით'' გაძლიერებული გახლდათ,თანდათან ცდილობდა აშშ–სგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებას,განსხვავებული იყო მისი პოზიციებიც,გლობალურ აქტორებად რუსეთი და ჩინეთი მოგვევლინენ,რომელთანაც აშშ–ს საგარეო პოლიტიკური კურსი უნდა განესაზღვრა და დიპლომატიური მეთოდებით დაებალანსებინა ურთიერთობები და ბოლოს ტერორიზმი,რომელიც ახალი საერთაშორისო საფრთხის სახით დაატყდა თავს მსოფლიოს,განსაკუთრებით კი,ამერიკის შეერთებულ შტატებს.[11]

ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა განსაზღვრავს თუ რა დამოკიდებულება აქვს მას სხვა ქვეყნებთან მიმართებაში, ახასიათებს სწრაფვა კონკრეტული მიზნებისკენ და მთავარ პრიორიტეტად მიიჩნევს თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკას.

ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის მიზანია შექმნას ძლიერი სახელმწიფო, სადაც მსოფლიო მოვლენების ფონზე მაქსიმალურად დაცული იქნება ეროვნული ინტერესები. ეროვნული ინტერესები საგარეო პოლიტიკასთან მოდის თანხმობაში და ფარავს ისეთ მიმართულებებს,როგორიცაა ეკონომიკური, პოლიტიკური,სამხედრო,იდეოლოგიური და ჰუმანიტარული.

[11] http://nasrashvili.blogspot.com/2010/06/blog-post.html

ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად გასული საუკუნის 20-იან, 30-იან წლებში ითვლებოდა იზოლაციონალიზმის პოლიტიკა.

იზოლაციონალიზმის პოლიტიკის მიხედვით აშშ ცდილობს არ ჩაერიოს სხვა ერის კონფლიქტებში, განსაკუთრებით კი ევროპის,სტრატეგია მიმართული იყო სანაპიროების დაცვისკენ.

იქედან გამომდინარე, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მიხედვით პრეზიდენტია საგარეო პოლიტიკის წარმართველი, სწორედ პრეზიდენტზეა დამოკიდებული რა იქნება საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები, შესაბამისად, პრეზიდენტების ცვალებადობასთან ერთად საგარეო პოლიტიკის კურსი, ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნებთან იცვლება, კონგრესს კი არ ძალუძს არის შეცვლა.

თომარ ჯეფერსონის შეხედულებით, აშშ უნდა ყოფილიყო თავისუფლების იმპერია. ამერიკელებისთვის მეტად პრიორიტეტული ადამიანის ბედნიერება იყო, მაშინ როცა ევროპელები ტერიტორიებისთვის თავგანწირვით იბრძოდნენ.

პრეზიდენტმა ბილ ქლინთონმა (პრეზიდენტობის წლები:1993-2001) ხელისუფლებაში მოსვლისთანავე იცოდა,რომ ჩვენს მსოფლიოში ყველაზე ყოვლისმომცვლელი ძალა და მოვლენა გლობალიზაციაა.იგი იმასაც ხვდებოდა,რომ ულმობელი გლობალიზაციის პირობებში სარგებელი მისგან მაქსიმალურად უნდა ათვისებულიყო დემოკრატიის,მშვიდობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით.ქლინთონმა ჩამოაყალიბა საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და პრინციპები,რომელთაც მისი

მმართველობის რვა წლის მანძილზე ეყრდნობოდა.განვიხილავთ რამდენიმე მათგანს:

- აშშ ალიანსებს ევროპასა და აზიასთან ეროვნული უსაფრთხოების ქვაკუთხედად მიიჩნევდა,თუმცაღა აღნიშნავდა,რომ მნიშვნელოვანი იყო მათი მუდმივი ადაპტაცია ახალი გამოწვევების ფონზე;
- მუშაობა მშვიდობიანი,დემოკრატიული და ერთიანი ევროპისთვის:ქლინთონი მხარს უჭერდა ნატოს გაფართოებას;
- ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტად მიიჩნევდა პრინციპულ,კონსტრუქციულ და ღია ურთიერთობებს ყოფილ დაპირისპირებულ მხარეებთან;
- ურთიერთობების გაღრმავება რუსეთთან და ჩინეთთან;
- ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესება პარტნიორებთან;ბილ ქლინთონის მმართველობის პერიოდში აშშ ეკონომიკური აღმავლობის ხანაში იმყოფებოდა,აშშ-ს მსოფლიო ვაჭრობა წელიწადში 4-დან 6.6 ტრილიონ ამერიკულ დოლარამდე ფიქსირდებოდა,მან გახსნა მარკეტები ამერიკული ექსპორტისთვის საზღვარგარეთ და შექმნა სამუშაო ადგილები.[12]

,,ნატოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი-ვაშინგტონის სამიტი 1999 წლის 24 და 25 აპრილს გაიმართა.ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს სამიტს, ეაპს-ის სამიტზე, რომელსაც ბ-ნი სოლანა თავმჯდომარეობდა,მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა აშშ-ის პრეზიდენტი ბილ ქლინტონი, რომელმაც ყურადღება გაამახვილა უშიშროების ძირითად ასპექტებზე ევროატლანტიკურ რეგიონში და ბუნებრივია, იმ პერიოდში ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე მის მოხსენებაში დიდი ყურადღება გამახვილდა კოსოვოს პრობლემაზე. რაც

[12] https://clintonwhitehouse5.archives.gov/WH/Accomplishments/eightyears-10.html

შეეხება კონტაქტების გაძლიერების აუცილებლობას ნატოსა და პარტნიორებს შორის პმპ-ის პროგრამის ფარგლებში, აქ აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამ მხრივ ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი გახლდათ თანამშრომლობის გაღრმავება რუსეთთან და უკრაინასთან. რუსეთთან მიმართებაში აშშ-ისა და ალიანსის მხრიდან კონსტრუქციულობის ნათელ დადასტურებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ აშშ-ის პრეზიდენტი თავის გამოსვლამდე რამდენიმე ხნით ადრე დაუკავშირდა რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინს, რომელსაც ქლინტონმა შესთავაზა ვაშინგტონში ჩასვლა და შეხვედრაში მონაწილეობის მიღება, რათა რუსეთის დელეგაციასთან ერთად განხილულიყო ევროატლანტიკურ რეგიონში, და კერძოდ კოსოვოში არსებული ვითარება და კრიზისიდან გამოსვლის გზები.

თავის გამოსვლაში აშშ-ის პრეზიდენტმა ასევე ყურადღება გაამახვილა იმ საფრთხეებზე, რომელიც ემუქრებოდა ახალი უშიშროების არქიტექტურის მშენებლობას, ასევე პრობლემატური საკითხების არსებობას დასავლეთსა და მუსლიმანურ სამყაროს, ასევე ნატოს ორ სრულუფლებიან წევრს თურქეთსა და საბერძნეთს შორის.''13

რაც შეეხება ჯორჯ ბუშ-უმცროსს,იგი ამერიკის შეერთებული შტატების 43-ე პრეზიდენტი გახლდათ.მისი მმართველობის პერიოდი (2001-2009) განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო მსოფლიოს მრავალი წერტილისთვის,გამორჩევით ახლო აღმოსავლეთისთვის.

[13] http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL1.22.5&d=HASH01f128b7970284691c5fabfe.6.8&gt=1

აღსანიშნავია რობერტ ჯერვისის 2003წლის ნაშრომი-,,ბუშის დოქტრინის ახსნა'' (''Explaining the Bush Doctrine''),სადაც ხაზგასმულია,რომ დოქტრინას ოთხი ელემენტი აქვს:

1.ძლიერი რწმენა იმისა,რომ სახელმწიფოს საშინაო რეჟიმს დიდი მნიშვნელობა აქვს საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში;

ჯორჯ ბუშსა და გარემომცველ პირებს ჯეროდათ,რომ დემოკრატიისა და ლიბერალიზმის გავრცელება იმოქმედებდა როგორც იმ სახელმწიფოზე,სადაც ისინი გავრცელდებოდნენ,არამედ მთლიან რეგიონზეც.მაგალითისთვის,ისინი ფიქრობდნენ,რომ ერაყის გათავისუფლებით და სადამ ჰუსეინის ავტორიტარული რეჟიმის დამხობით დემოკრატიულ ღირებულებებს გაავრცელებდნენ და ეს ტალღა მთელ ახლო აღმოსავლეთს გადაეცემოდა.ბუშისთვის დემოკრატიისკენ სწრაფვა საკმაოდ აქტუალური იყო,ეს მისთვის ნიშნავდა მეტ მშვიდობას და ტერორიზმის შესუსტებას,იგი აღნიშნავდა,რომ შესაძლებლობას გაეხადა მსოფლიო უფრო მშვიდობიანი და თავისუფალი, ხელიდან არ გაუშვებდა.

2.დიდი საფრთხეები,რომლებიც უნდა დამარცხდეს ახალი და ძლიერი ტაქტიკით (განსაკუთრებით პრევენციული ომები);

3.სურვილი იმოქმედოს ერთპიროვნულად როცა საჭიროა;

4.მშვიდობასა და სტაბილურობას ამერიკის შეერთებული შტატები სჭირდება,რომელიც პირველობას დაამტკიცებს მსოფლიო პოლიტიკაში.[14]

ბუშის მიზნები გადაჭარბებულად ამბიციური გახლდათ,იგი ცდებოდა საერთაშორისო ურთიერთობებში რეალისტური ხედვებზე დაყრდნობილ

[14] რ.ჯერვისი.2003

ეროვნული ინტერესების კონცეფციას,მისი განზრახვა საერთაშორისო პოლიტიკის ტრანსფორმაცია გახლდათ,რაც რეალურად მის ძალებს აღემატებოდა.მისმა შედგენილმა ყველა პრინციპმა საბოლოოდ ერაყის ომის დაწყებასა და სადამ ჰუსეინის რეჟიმის ჩამოგდებაში შეისხა ხორცი.[15]

ჯორჯ ბუშის გაპრეზიდენტებიდან სულ რამდენიმე თვეში,აშშ-ს გლობალური საფრთხე დაატყდა თავს,რასაც სახელმწიფო არსებული კრიზისის ფონზე განსაკუთრებით მოუმზადებელი შეხვდა.17 წელი გავიდა მას შემდეგ,რაც 2001 წლის 11 სექტემბერს ცხრამეტმა ტერორისტმა(,,ალ-ქაიდას''თვითმკვლელი ტერორისტები)ოთხი თვითმფრინავი გაიტაცა,აქედან ორი შეეჯახა მსოფლიო სავაჭრო ცენტრს,ერთი-პენტაგონს,ხოლო მეოთხე მგზავრებისა და ეკიპაჟის წინააღმდეგობის გამო ვერ მიუახლოვდა მის სავარაუდო სამიზნეს-თეთრ სახლს ან კაპიტოლიუმს და პენსილვანიის შტატში,მინდორზე ჩამოვარდა.ეს გახლდათ მსოფლიო ისტორიაში ყველაზე მოულოდნელი და მასშტაბური ტერორისტული აქტი,რომელმაც მთელი მსოფლიო შეძრა,რომელმაც მრავალი ქვეყანა გააერთიანა ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში[16],რომელმაც ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების-ნატოს მე-5 მუხლი (ერთ სახელმწიფოზე თავდასხმა გულისხმობს ყველა სახელმწიფოზე თავდასხმას)პირველად აამოქმედა,რომელიც პირველად შევიდა კაცობრიობის ისტორიაში იმ კუთხით,რომ შეტევა განახორციელა არა სახელმწიფო წარმონაქმნმა,არამედ ტერორისტულმა ორგანიზაციამ,რომლის წინაშეც აშშ დაუცველი და მოუმზადებელი გახლდათ,ჩამოყალიბდა უსაფრთხოების დილემის ახალი კონცეფცია.

[15] https://politicalreviewer.wordpress.com/2016/03/30/bush-doctrine/
[16] http://www.tabula.ge/ge/story/55731-ra-shecvala-tertmetma-seqtemberma

9/11 მოვლენამდე ტერორიზმს საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების ისტორიის მანძილზე მნიშვნელოვანი საფრთხე არ შეუქმნია სახელმწიფოსთვის.ცივი ომის დასრულებამდე ნებისმიერი სახელმწიფოსთვის საფრთხედ მისივე მსგავსი წარმონაქმნი-სხვა სახელმწიფო გახლდათ,სწორედ ამაში მდგომარეობდა ვესტფალიური საერთაშორისო წესრიგის მონაპოვარი-საერთაშორისო ურთიერთობებში ძირითადი მოთამაშეები სუვერენული სახელმწიფოები იყვნენ და იცავდნენ პრინციპს არ ჩარეულიყვნენ ერთმანეთის შიდა საქმეებში.

ტერაქტმა,რომელიც აშშ-სთვის პირველი თავდასხმა იყო პერლ ჰარბორის შემდეგ,საგრძნლობლად შეცვალა პრიორიტეტები და მიზნები.ჯორჯ ბუშისთვის ეს ყველაზე დიდი გამოწვევა გახლდათ,მას უნდა ეზრუნა თავი დაეცვა მომავალი ტერორისტული აქტებისგან,დაეშოშმინებინა მოსახლეობა და საერთაშორისო საზოგადოება,,,დაესაჯა''დამნაშავე და შეენარჩუნებინა პრესტიჟი.პირველი,რისი თავიდან ჩამოყალიბებაც გახდა საჭირო,ტერორიზმის გაგებაა,9/11-მდე ტერორიზმი მიიჩნეოდა,როგორც ჩვეულებრივი დანაშაული,რომელთან ბრძოლის მექანიზმები მსგავსი იყო ძარცვასთან და ყაჩაღობასთან ბრძოლასთან.გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო რეზოლუცია 1373,რომლის შედეგადაც სახელმწიფოებმა ტერორიზმი კრიმინალურ აქტად გამოაცხადეს,ამას გარდა გაერომ 16 ძირითადი კონვენცია მიიღო,რომელიც ტერორიზმთან ბრძოლისკენ იყო მიმართული.

11 სექტემბრის შემდეგ აშშ-ს ხელისუფლება არაერთხელ გახვეულა კრიტიკის ქარცეცხლში,უკანასკნელ წლებში რამდენიმე არასასიამოვნო შემთხვევა დაფიქსირდა, სამხედრო უწყებისა და სპეცსამსახურების ზოგიერთი თანამშრომლის არაკანონიერი და არაჰუმანური საქციელის

გამო.მაგალითისთვის,გუანტანამოს ციხეში ტერორიზმში ეჭვმიყანილი ასობით ადამიანის დაპატიმრება სასამართლოს განჩინების გარეშე,სადამ ჰუსეინის მომხრე პატიმრების მიმართ არაადამიანური მოპყრობა ერაყში აშშ-ს სამხედროთა მიერ,ამერიკის დაზვერვის საიდუმლო ციხეების არსებობა ევროპის ქვეყნებში.

ბუშის რეჟიმს საერთაშორისო მხარდაჭერა არ ჰქონდა,მას მხოლოდ ბრიტანეთი ექომაგებოდა.ევროკავშირიც არ იწონებდა აშშ-ს მხრიდან ასეთ არაჰუმანურ აქტებს და ადამიანური უფლებების დარღვევას და მის პოზიციას აფიქსირებდა.

11 სექტემბრის ტერაქტიდან მალევე აშშ ავღანეთში შევიდა,ამის მიზეზი გახლდათ თალიბანის (ავღანეთის მმართველი ძალა იმ პერიოდში) უარი ოსამა ბინ ლადენის (,,ალ-ქაიდას'' ლიდერი)გადაცემაზე,ასევე მისი მოკავშირეების ქვეყნიდან გაძევებაზე ან ლიკვიდაციაზე.თალიბანმა წინააღმდეგობა ვერ გასწია,მისი საკითხი მალევე გადაწყდა,2003 წელს კი ერაყის ომი დაიწყო,თებერვალში ანტი-საომარი მოქმედებები დაიწყო მთელ მსოფლიოში,მასშტაბური გამოსვლები მრავლად იყო ნიუ-იორკში,პარიზში,ლონდონში.საფრანეთის პრეზიდენტმა საჯარო უარი დააფიქსირა,მას რუსეთიც შეუერთდა,შესაბამისად გაეროს უშიშროების საბჭოზე საკითხის განხილვას აზრი არ ჰქონდა.უცნაური გახლდათ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის,ტონი ბლერის პოზიცია,რომელიც თავის ქვეყანაში ასი ათასობით დემონსტრანტის აზრს დაუპირისპირდა.საბოლოოდ მან პარლამენტისგან დასტურიც მიიღო.

2003 წლის 17 მარტს პრეზიდენტი ბუში სიტყვით გამოვიდა,სადაც ულტიმატუმი დააფიქსირა:თუ სადამ ჰუსეინი და მისი ვაჟები ერაყს 48 საათის განმავლობაში

არ დატოვებდნენ,დაიწყებოდა სამხედრო კონფლიქტი და ეს ასეც მოხდა.[17]საბრძოლო მიზნებს ერაყში შეჭრიდან მალევე მიაღწიეს,ჰუსეინმა გაქცევით უშველა თავს.

2006 წელს კი ივნისის ბოლოს კიდევ უფრ არადემოკრატიული ქმედება.პოპულარულმა ამერიკულმა გაგაიმოცემამ ,,ნიუ-იურკ ტაიმსმა''გამოაქვეყნა სკანდალური მასალები-აშშ-ს სპეცსამსახურების მიერ საერთაშორისო ბანკთაშორისი ელექტრონული გადარიცხვების სისტემის (SWIFT) მონაცემთა გამოყენების შესახებ.როგორც გაირკვა აშშ-ის ადმინისტრაციამ 9/11-ის შემდეგ გამოძიების არატრადიციულ ხერხებს მიმართა და ამ კერძო სისტემის მფლობელები დაიყოლია თანამშრომლობაზე და მათგან ელექტრონული გადარიცხვების კონტროლის უფება მიიღო,რისი მეშვეობითაც ადმინისტრაციას ტერორისტთა დაფინანსების წყაროებს დაადგწნდნენ.გამოცემის სტატიამ პრეზიდენტი ბუში გააღიზიანა და პრესა არაპატრიოტიზმში დაადანაშაულა.რა თქმა უნდა დაფინანსების წყაროების გამორკვევა მისასალმებელია,თუმცაღა ეს პროცესი უნდა განხორციელდეს ადამიანის პირადი და კომერციული საიდუმლოების საერთაშორისო პრინციპების დაცვით.

პრეზიდენტმა ბუშმა ტერაქტის შემდეგ მიიღო და კანონით დაამოწმა ,,პატრიოტის აქტი'',რაც სპეცსამსახურებისთვის დამატებით 12 ფუნქციების მინიჭებას ან ძველი ფუნქციების გაძლიერებას ითვალისწინებდა,მათ მოეხსნებოდათ დაკანონებული ბარიერები,რომელიც ეხებოდა ფარულ მოსმენებს,ელექტრო თვალთვალს,კომერციული კავშირგაბმულობის საშუალებები ვალდებულნი იქნებოდნენ ინფორმაცია მიეწოდებინათ სპეცსამსახურებისგან,საიდან გავიდა და საიდან შევიდა ზარი.კომერციული

[17] https://politicalreviewer.wordpress.com/2016/04/05/iraq-war-1/

ბანკები ვალდებულნი იქნებოდნენ ინფორმაცია გაემჟღავნებინათ პიროვნების ვინაობის შესახებ,ვის ანგარიშზე და საიდან მოდის თანხები.

,,პატრიოტის აქტმა'' საერთაშორისო სემოკრატიული საზოგადოება კიდევ უფრო აღაშფოთა და პრეზიდენტი ბუშის იმპიჩმენტსაც კი მოითხოვდნენ.[18]

ტერორისტულმა აქტმა ცხადყო,რომ ადმინისტრაცია შესაბამისად ვერ აფასებდა მომდინარე საფრთხეებს,საჭირო იყო გაეუმჯობესებინათ ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების მეთოდები.რაც შეეხება ტერორისტების დაკითხვის მეთოდებს,დაზვერვის თანამშრომლებს უფლება მიეცათ გამოეყენებინათ ძალისმიერი მეთოდები,მათგან აღსანიშნავია ,,დახრჩობის სიმულაცია'' (Waterboarding),რის გამოც ბუშის ადმინისტრაცია უფლებადამცველებისა და მემარცხენე პოლიტიკოსების კრიტიკის ქარცეცხლში გაეხვა,ამგვარ მეთოდებს განსაკუთრებულად ნეგატიური თვალით უყურებდა ევროკავშირი,რომელმაც 21-ე საუკუნეში ძალის გამოყენება დაკითხვის მიზნით სრულიად მიუღებლად გამოაცხადა.

ტერაქტზე პასუხისმგებლობა ,,ალ-ქაიდამ''აიღო,მათი განცხადებით ტერაქტის მიზანი შურისძიება იყო,მიმართული აშშ-ს აგრესიული საგარეო პოლიტისკენ,რაც გამოიხატებოდა ისლამური ყვეყნების წინააღმდგეგ მოქმედებით.

ბუშის ადმინისტრაციამ 11 სექტემბრის საპასუხოდ ოფიციალურად გამოაცხადა ბრძოლა ტერორის წინააღმდეგ,რასაც სამხედრო შეჭრა მოყვა 2001 წელს ავღანეთში,2003 წელს ერაყში.

[18] ბ.ალადაშვილი,2005

ამერიკის შეერთებული შტატების ბოლოს წინა პრეზიდენტი ბარაკ ობამა გახლდათ,რომელიც სახელმწიფოს სათავეში 2009 წლიდან 2017 წლამდე იმყოფებოდა.ბარაკ ობამას წინა პრეზიდენტმა ბუშმა ორი მიმდინარე ომი და ფინანსური მარკეტის კრიზისი დაუტოვა,საშინაო ფრონტზე ყველაზე დიდი გამოწვევა კონგრესთან მუშაობა და საბიუჯეტო საკითზებზე შეთანხმების მიღწევა გახლდათ,რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას,მისთვის მთავარ გამოწვევებს წარმოადგენდა ავღანეთი,სირია,აზიის სახელმწიფოთა გააქტიურება,ირანი,რუსეთთან ურთიერთობის სტაბილიზაცია.

ბარაკ ობამამ პრიორიტეტულ მიმართულებებად კიბერუსაფრთხოება,ეროვნული ინტერესების დაცვა,ტერორიზმთან ბრძოლის ხელშეწყობა მიიჩნია.[19]

ბინ ლადენი,რომელიც მსოფლიოს პირველ ტერორისტად იყო მიჩნეული წინა საარჩევნო პიარ აქციად იქცა ბარაკ ობამასთვის,2001 წლის 1 მაისს მან ამაყად აცნო მსოფლიოს,რომ ,,ალ-ქაიდას'' ლიდერი ლიკვიდირებულია.

ბარაკ ობამამ საფუძვლიანად შეცვალა ბოლო 20 წლის განმავლობაში გატარებული საგარეო პოლიტიკა,ბევრი ამ უკანასკნელს ,,ჭკვიან ძალად'' მოიხსენიებდა,ზოგი კი იდეალიზმად აღიქვამდა.იგი ორი მთავარი პრინციპით შეიძლება დახასიათდეს:

1.სამხედრო ამალის გაუმჯობესება და ხარჯების შეზიარება მოკავშირეებთან;

2.დიალოგის წამოწყება მოწინააღმდეგეებთან,როგორიცაა კუბა და ირანი.

ბარაკ ობამამ სტრატეგიული ფოკუსი ევროპიდან ახლო აღმოსავლეთსა და აზიაზე გადაიტანა,რა თქმა უნდა, ევროპა ისევ მნიშვნელოვანი იყო აშშ–

[19] https://www.amerikiskhma.com/a/froeeign_policy_obama/1587985.html

სთვის,იზრუნებდა თავდაცვით და ეკონომიკურ თანამშრომლობაზე,მაგრამ მას უფრო გლობალური აქცენტების გაკეთება სურდა.მათი ურთიერთობების ,,დაშორება''აისახა კიდეც სამომავლო მოვლენებში:თუკი ობამამ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე პრიორიტეტად ავღანეთს ომი გამოყო,ევროპა ამ ომისგან თავს შორს იჭერდა,რადგან მხოლოდ აშშ–ს პრობლემად მიიჩნია,უარი განაცხადა ასევე გვანტანამოს პატიმრების მიღებაზე,განსხვავებული იყო ასევე მათი ხედვა ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით.თანდათან ევროპის მოსახლეობას ავიწყდებოდა აშშ–სგან მიღებული დახმარება და ნდობას კარგავდნენ მის მიმართ,აშშ–ც ფიქრობდა,რომ ევროპის ქვეყნები შეძლებდნენ დამოუკიდებლად უსაფრთხოებაზე ზრუნვას.[20]

გლობალური მიზნების მიუხედავად, საერთაშორისო პოლიტიკაში მომხდარმა ცვლილებებმა,როგორიც იყო არაბული ზამთარი და უკრაინის კრიზისი,ობამას ,,დიდი სტრატეგიის'' შესრულებას ხელი შეუშალა.

ობამა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტების სიაში ღირსეულ ადგილს იკავებს იმ კუთხით,რომ მან შეძლო შიდა პოლიტიკის აქტუალური საკითხების მოწესრიგება და ეკონომიკური კრიზისის გადალახვა.ის იმდენად იყო კონცენტრირებული ამაზე,რომ ზოგი ექსპერტი ადანაშაულებდა კიდეც,რომ იგი საგარეო პოლიტიკის მხოლოდ მოვლენებზე პასუხით შემოიფარგლებოდა,თუმცაღა სინამდვილეში მას ნათლად ჰქონდა დაფიქსირებული საგარეო პოლიტიკის სტრატეგია-გლობალური ლიდერის როლის და ჰეგემონის ტიტულის შენარჩუნება[21].

2.2 აშშ-ს „ევროპული“ გეოპოლიტიკის თავისებურებანი

[21] http://tbl.ge/xvf

21-ე საუკუნის გეოსტრატეგიულ პირობებში აშშ ის სახელმწიფოა,რომელსაც ბევრი სახელმწიფო ლიდერად მიიჩნევსს.ასეთი სახელმწიფოები საყრდენად მოიაზრებიან და განვითარებული დემოკრატიით,ძლიერი საბაზრო ეკონომიკით გამოირჩევიან,აშშ-სთან განსაკუთრებულად მჭიდრო ურთიერთობები აკავშირებთ და უპირობოდ აღიარებენ მის პირველობას.ამ ტიპის ქვეყნებს მიეკუთვნებიან მთელი დასავლეთ ევროპა,იაპონია,სამხრეთ კორეა,ტაივანი,თურქეთი და ისრაელი.

აშშ-ს ბუნებრივია მოსწონს პირველობის სტატუსი და ცდილობს მეორე - გარდამავალი კატეგორიის ქვეყნები (მაგ.აღმოსავლეთ ევროპა,ნატოს ახალბედა წევრები).აშშ ცდილობს ამ კატეგორიის ქვეყნები პირველ კატეგორიაში გადაიყვანოს და ამით მისი გავლენა კიდევ უფრო გაზარდოს,ეს აშშ-ს ერთ-ერთი სტრატეგიული გეგმაა,რომლის განსახორციელებლად პოლიტიკურ ზემოქმედებას,მატერიალურ დახმარებას,დარწმუნების მეთოდებს,ზეწოლას იყენებს

დღესდღეობით,როცა სამყარო მრავალპოლუსიან სისტემაზე გადავიდა,გლობალურ აქტორებად ამერიკის შეერთებული შტატები,ევროკავშირი,ჩინეთის რესპუბლიკა და რუსეთის ფედერაცია გვევლინებიან.ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში მათი თანაარსებობა არც ისე იოლია,ჰეგემონობისკენ ბრძოლა და ამავდროულად საერთაშორისო სისტემის შენარჩუნება ძალთა წონასწორობის გათვალისწინებით დიდ ძალისხმევასა და ეფექტურ დიპლომატიას მოითხოვს.ასეთ პირობებში საინტერესოა განვიხილოთ აშშ-ევროკავშირის ურთიერთობები და გეოპოლიტიკის თავისებურებანი,რომლებიც გეოპოლიტიკური სისტემის შენარჩუნებასა და სტრატეგიული ურთიერთობების განსაზღვრას ცდილობენ.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის გეოპოლიტიკური კოდები გარკვეულწილად ემთხვევა,თუმცაღა ცივო ომის დასრულებასთან ერთად ცვლილებებმა ბევრი რამ სხვაგვარად წაიყვანა.

აშშ-ს საგარეო პოლიტიკის მთავარი პრინციპები ჯერ კიდევ ჯეიმს მონროს პრეზიდენტობის დროს ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნის 20-იან წლებში,იგი შემქმნელის სახელს ატარებს და ,,მონროს დოქტრინა''ეწოდება,მისი ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობდა,რომ აშშ არ ჩაერეოდა ევროპაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში,მაგრამ იმ პირობით,რომ არც ევროპა მიიღებდა მონაწილეობას ამერიკის კონტინენტის (ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოების) საქმეებში.იზოლაციონიზმის სახელით ცნობილი ეს პოლიტიკა თითქმის 100 წელი გაგრძელდა,თუმცაღა მისი გამოვლინება დღესაც არის.

აღსანიშნავია,რომ ცივი ომის შემდეგ გეოპოლიტიკური ტრანზიციის პროცესი საკმაოდ გახანგრძლივდა და ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული,ჯერ კიდევ გაურკვეველია რიგი ქვეყნების ბედი,თუ ძალის რომელ პოლუსს მიეკუთვნებიან ისინი.[22]

გეოპოლიტიკური ტრანზიციის პირობებში აშშ უპირობოდ ერთპოლუსიან სისტემაში ლიდერისა და ჰეგემონის ტიტულს ინარჩუნებდა.1992წლის შემდეგ,რაც ევროკავშირმა პოლიტიკური დანიშნულებაც შეიძინა,საკუთარ უსაფრთხოებაზე და პოლიტიკურ პროცესებში დამოუკიდებელ მოქმედებაზე დაიწყო ფიქრი.

,,მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ევროპის უსაფრთხოების

[22] ზ.დავითაშვილი, ,,გეოპოლიტიკა ცივი იმის პერიოდში''.

უზრუნველყოფა, ძირითადად, ამერიკის შეერთებულ შტატებთან მჭიდრო თანამშრომლობით ხდებოდა, თავდაცვის თვალსაზრისით ყველაზე დიდი ფუნქცია კი ნატო-ს ეკისრა. ცივი ომის დასრულების შემდეგ ვითარება შეიცვალა.

ევროპას აღარ ემუქრება ჩვეულებრივი თუ ატომური იარაღით მასობრივი იერიშის საშიშროება. სამაგიეროდ, როგორც ბალკანეთის მოვლენებმა ცხადყო, ევროკავშირის წინაშე მრავალი ისეთი საფრთხე დგას, რომელიც შეიძლება დაემუქროს სტაბილურობას ევროპაში და არა მის არსებობას. ცხადია, ამერიკის შეერთებულ შტატებს არ უნდა ევროპის კონტინენტზე ყოველ რეგიონულ კრიზისში ჩარევა. ზოგ შემთხვევაში თავად ევროპელებს უფრო შეჰფერით ინიციატივის გამოჩენა. ევროკავშირის წევრები მზარდ მზადყოფნას ამჟღავნებენ, შეიარაღდნენ იმ საშუალებებით, რომლებიც საჭიროა საერთო ფასეულობათა დასამკვიდრებლად და მათი ინტერესების დასაცავად.

სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობა ევროკავშირის მიერ საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისთვის საფუძვლის ჩაყრა 1993 წელს მაასტრიხტის ხელშეკრულებით, რაც შემდგომში კიდევ უფრო გამოიკვეთა და დაიხვეწა 1999 წლის 1 მაისს ამოქმედებულ ამსტერდამის ხელშეკრულებაში. ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას ხუთი ძირითადი მიზანი ამოძრავებს:

* ევროკავშირის ძირითადი ინტერესებისა და დამოუკიდებლობის დაცვა;

* ევროკავშირის უსაფრთხოების განმტკიცება;

* მშვიდობის განმტკიცება და საერთაშორისო უსაფრთხოების გაძლიერება;

* საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა;

* დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემის განმტკიცება.

ამსტერდამის ხელშეკრულების საფუძველზე გაუმჯობესდა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმი. ხელშეკრულებამ უზრუნველყო საერთო სტრატეგია იმ სფეროებში, რომლებშიც წევრ სახელმწიფოებს საერთო მნიშვნელოვანი ინტერესები აქვთ, დაამკვიდრა პოლიტიკის უფრო მიზანმიმართული ფორმულირება და მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიტიკური ჯგუფის დაარსებით შემოიღო ადრეულ ეტაპზე გაფრთხილების მექანიზმი. ამას დაემატა დროებითი პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტისა და, პარალელურად, სამხედრო კომიტეტის დაარსება, რაც მიზნად ისახავდა მთავრობებისთვის კონსულტაციის გაწევას კრიზისული სიტუაციების მართვის საკითხებში.

ამსტერდამის ხელშეკრულების ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მიღწევა იყო საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში უმაღლესი წარმომადგენლის ინსტიტუტის დაარსება. 1999 წლის ოქტომბერში ეს თანამდებობა დაიკავა ყოფილმა ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა და ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ხავიერ სოლანამ, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს ევროკომისიასა და წევრ სახელმწიფოებთან, მათ შორის, ამ სახელმწიფოების უზარმაზარ დიპლომატიურ სისტემებთან და ევროკომისიის დეგელეგაციებთან, და თავისი მოღვაწეობით ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის თანმიმდევრულობას და

ეფექტიანობას უზრუნველყოფს.

ამსტერდამის ხელშეკრულებაში ხელახლა იქნა ფორმულირებული ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიზნები - დაისახა მძიმე მდგომარეობებში როგორც სამხედრო, ისე არასამხედრო შესაძლებლობათა გამოყენების პერსპექტივა.ეს არის ეგრეთწოდებული პეტერსბერგის ამოცანები, რომლებიც მოიცავს საშუალებათა ფართო სპექტრს, დაწყებული კვლევითა და მაშველთა სამსახურებით, დამთავრებული სამშვიდობო ოპერაციებით.

კოსოვოს მოვლენებმა გამოავლინა ევროპაში არსებული ეროვნული და კოლექტიური სამხედრო შესაძლებლობები და ხაზი გაუსვა ევროპული სტრატეგიული თავდაცვის პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობას. საფუძველი ამ პოლიტიკას ჩაეყარა 1999 წლის დეკემბერში ჰელსინკის სამიტზე ევროკავშირის სახელმწიფოთა მეთაურების მიერ, რომლებიც შეთანხმდნენ, დაეარსებინათ სწრაფი რეაგირების შენაერთი და შეემუშავებინათ გამჭვირვალე პროცედურები ნატო-სთან და არაევროპულ ქვეყნებთან კონსულტაციისა და თანამშრომლობისთვის. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ნატო კვლავაც წარმოადგენს მისი წევრების კოლექტიური თავდაცვის საყრდენს და რომ ევროკავშირს მოქმედება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ნატო არ იღებს პროცესში მონაწილეობას.''[23]

ცივი ომის პერიოდიდან დღემდე აშშ და ევროკავშირი მნიშვნელოვან პარტნიორებად მიიჩნევიან.ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო ფორუმებში,როგორიცაა გაერო,ვაჭრომის მსოფლიო ორგანიზაცია,ნატოსა და 8 უდიდედი ქვეყნის თანამშრომბოლითი

[23] ევროკომისიის წარმომადგენლობა, ,,ევროკავშირი და მსოფლიო'',თბილისი 2002,გვ.38-39

შეხვედრები,ამათ გარდა ურთიერთობების დარეგულირებასაც ცდილობენ ახლო აღმოსავლეთსა და ბალკანეთში.

III თავი. ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული პარტნიორობის შედარებითი ანალიზის გეოპოლიტიკური ასპექტები

ცივი ომის დასრულებამ გეოპოლიტიკურ არენაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები განაპირობა.ევროკავშირი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დადგა,მათ შორის მრავლობდა ეთნიკური კონფლიქტები,ადამიანის უფლებების დარღვევები,ტერორიზმი.გამოწვევებთან გასამკლავებლად ქვეყნები მიხვდნენ,რომ საჭირო იყო გაერთიანება დამოუკიდებელი ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფორმირებით.იმ პერიოდში მიმდინარე ნატოს ტრანსფორმაცია დამატებით მუხტს აძლევდა ევროკავშირს,ამ უკანასკნელს სურდა საკუთარი გავლენის ნატოსგან დამოუკიდებლად ზრდა,რასაც ახალი თავდაცვის მექანიზმის მეშვეობით მოახერხებდა.

ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი კვლავ მნიშვნელოვან სტრატეგიულ პარტნიორებად მიიჩნეოდნენ,აღსანიშნავია მათი ერთობლივი ჩართულობა ავღანეთისა და იუგოსლავიის კონფლიქტებში,ისინი მარტივად

თანხმდებიან დემოკრატიული პრინციპების შენარჩუნების,უსაფრთხოების განვითარებისა და ვაჭრობის ხელშეწყობის შესახებ.

9/11-ის შემზარავმა ტერაქტმა აშშ და ევროკავშირი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისთვის გააერთიანა,თუმცაღა ევროკავშირი არ ეთანხმებოდა აშშ-ს ადმინისტრაციას იმ მეთოდების გამოყენებაში,რომლებიც ამ უკანასკნელმა დამნაშავეების გამოვლენისა და დასჯისთვის გამოიყენა.

,,დღევანდელ პარტნიორობას საფუძველი 1990 წელს ჩაეყარა ტრანსატლანტიკური დეკლარაციით, რომელიც ითვალისწინებს ყოველწლიურად ორი სამიტის ჩატარებას ამ ორი მხარის მონაწილეობით. ,,ტრანსატლანტიკური პროგრამის''ოთხი თავი მოიცავს ევროკავშირის საქმიანობის მთელ დიაპაზონს. დოკუმენტში გათვალისწინებულია მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობა, მსოფლიო მასშტაბის პრობლემებზე გამოხმაურება, თავისი წვლილის შეტანა მსოფლიო ვაჭრობის გაფართოებაში და უფრო მჭიდრო კავშირების დამყარება პარტნიორებს შორის. 1998 წელს დაარსებულმა ტრანსატლანტიკურმა ეკონომიკურმა პარტნიორობამ, რომლის კურსია ორ მხარეს შორის ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების მოშლა და მრავალმხრივი ლიბერალიზების ხელშეწყობა, ურთიერთობას ახალი ასპექტი შესძინა, ისევე, როგორც მომდევნო წელს მიღებულმა ბონის დეკლარაციამ, რომელიც მიმართული იყო ეკონომიკურ, პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ,,სრული და თანასწორი პარტნიორობის" ხელშეწყობისკენ.

ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოში უდიდესი ორი სტრუქტურაა, რომლებიც ერთმანეთზე უფრო და უფრო დამოკიდებულნი ხდებიან. მათზე ერთად მოდის მსოფლიო ეკონომიკისა და

ტრანსატლანტიკური ვაჭრობის თითქმის ნახევარი, ინვესტიციები კი ყოველდღიურად თითქმის 1 მილიარდ ევროს უტოლდება. თითოეული მათგანი მეორის უდიდესი სავაჭრო პარტნიორია და უცხოური ინვესტიციის ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო და დანიშნულების ობიექტი. მიუხედავად იმისა, რომ დავები ბანანებისა და ჰორმონებზე გამოზრდილი საქონლის ხორცის შესახებ თვალსაჩინო ადგილს იკავებენ პრესაში, ეს საქონელი ტრანსატლანტიკური ვაჭრობის 2%25-ზე ნაკლებს შეადგენს და, ძირითადად, წარსულის მემკვიდრეობას წარმოადგენს, და არა დღევანდელობის ამსახველია.

ყველაზე დიდი წვლილი უფრო ფართო და მჭიდრო ურთიერთობის საქმეში შეიტანეს ბიზნესის წრეებმა ატლანტიკის ორივე მხარეს ,,ტრანსატლანტიკური ბიზნესდიალოგის" მეშვეობით. ცოტა ხნის წინ დაინერგა პარალელური დიალოგები, რათა მშრომელებმა, მომხმარებლებმა და გარემოს პრობლემებით დაინტერესებულმა პირებმაც შეძლონ ამ პროცესში თავთავიანთი წვლილის შეტანა. გარდა ამისა, არსებობს რეგულარული კონტაქტები ოფიციალურ პირებს, მინისტრებსა და პოლიტიკოსებს შორის, მაგალითად, ევროპის პარლამენტისა და ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრების შეხვედრები.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგანგებო შეთანხმებებს ვაჭრობის მარეგულირებელ სფეროებში. ,,შეთანხმება ურთიერთაღიარების შესახებ", რომელიც ვრცელდება საქონლის ფართო სპექტრზე (დაწყებული სატელეკომუნიკაციო მოწყობილობით, დამთავრებული ფარმაცევტული ნაწარმით), საშუალებას აძლევს ევროკავშირის უწყებებს, შეაფასონ შესაბამისობა აშშ-ის მოთხოვნებთან, და პირიქით, ეს კი ექსპორტიორებს მნიშვნელოვან დროსა და სახსრებს უზოგავს. ხელი ეწყობა საბაჟო უწყებათა

თანამშრომლობას, სხვა შეთანხმებები კი მიზნად ისახავს მეცნიერებისა და ტექნოლოგიის, აგრეთვე ცოცხალი ცხოველებით ატლანტიკის ოკეანის მეორე მხარეს ვაჭრობის ხელშეწყობას.''[24]

3.1. „ტრანს-ატლანტიკური თანამშრომლობის ქარტია" – რეალობა და მითი

ტრანსატლანტიკური თანამშრომლობის ქარტიას საფუძვლად დიდი წინაპირობა ჰქონდა,სსრკ-ზე ჰიტლერის თავდასხმიდან ორი თვის შემდეგ ომის შემდგომი პერიოდისთვის ანგლოსაქსებმა მსოფლიოს დაგეგმვა დაიწყეს.

ატლანტიკური ქარტია ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის დეკლარაციაა,მას ხელი მეორე მსოფლიო ომის დროს,1941წლის 14 აგვისტოს მოეწერა ატლანტიკურ ოკეანეში,ბრიტანეთის სახაზო ხომალდზე,რომელსაც ეწოდებოდა ,,უელსის პრინცი''.ეს შეხვედრა ისტორიას ახსოვს,როგორც ,,ატლანტიკური კონფერენცია''.ქარტიის ხელისმომწერები გახლდათ აშშ-ს პრეზიდენტი ფრანკლინ დელანო რუზველტი და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი.მათ სტალინს დეპეშა გაუგზავნეს,რის მიხედვითაც მოსკოვში შეხვედრის მოწყობას სთხოვდნენ,სადაც განიხილავდნენ საბრძოლო იარაღის მიწოდების საკითხებს.

[24] ევროკომისიის წარმომადგენლობა, ,,ევროკავშირი და მსოფლიო'',თბილისი 2002,გვ.9-10

დეკლარაცია ძირითადად მიმოიხოლავდა თუ როგორ უნდა ყოფილიყო მოწყობილი მსოფლიო ომის შემდეგ,აღნიშნული იყო ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფოსტულატები.ქარტიის ხელისმომწერები ერთად თანხმდებოდნენ,რომ ისინი უარს აცხადებდნენ ახალი ტერიტორიების ხელში ჩაგდებაზე და მხარს უჭერდნენ ხალხის უფლებას,რის მიხედვითაც ისინი მმართველობის ფორმას თავადვე აირჩევდნენ.ქარტია ინსპირაციას აძლევდა ომის შემდგომ მსოფლიოს და საერთაშორისო შეთანხმებებს,რომლებიც შემდეგ ამ ქარტიას მოერგნენ.

ქარტია ნათელს ფენდა იმ ფაქტს,რომ ამერიკის შეერთებული შტატები ომში გაერთიანებულ სამეფოს უჭერდა მხარს.

ატლანტიკის ქარტიაში გამოყოფონ რვა ძირითად პრინციპს:

1. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გაერთიანებულ სამეფოს არ უნდა ეფიქრა ტერიტორიების დაპყრობაზე;
2. ტერიტორიული მოწყობა ხალხის სურვილის მიხედვით უნდა განხორციელებულიყო;
3. ყველა ქვეყანას თვითგამორკვევის უფლება ჰქონდა;
4. შემცირდებოდა სავაჭრო ბარიერები;
5. ხელი შეეწყობოდა გლობალურ ეკონომიკასა და კეთილდღეობას;
6. მონაწილეები იმუშავებდნენ ეცხოვრათ მსოფლიოში,სადაც შიში არ სუფევს;
7. მონაწიკეები იზრუნებდნენ ზღვების თავისუფლებაზე;
8. აგრესორი ქვეყნები განიარაღდებოდნენ.

მიუხედავად დაწერილი პრინციპებისა,იგი ზუსტად ვერ ხსნიდა მის მომავალს.დაფიქსირებული იყო ხალხის უფლება თავად განესაზღვრათ მმართველობის ფორმა,თუმცა რა ცვლილებები იყო ამისთვის საჭირო

სოციალური და ეკონომიკური მიმართულებით,რა უნდა განეხორციელებინათ მშვიდობისა და თავისუფლების მისაღწევად,ეს არ იყო განსაზღვრული.

როცა ქარტია პირველად წარუდგინეს პუბლიკას მას სხვა სახელწოდება ჰქონდა- ,,პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ერთობლივი შეთანხმება (Joint Declaration by the President and the Prime Minister")[25].

ქარტია იყო მნიშვნელოვანი რამდენიმე მიზეზით:ფორმალურად და საჯაროდ ფიქსირდებოდა აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს შორის,მეორეც,ის რუზველთ-ვილსონის საერთო ხედვას განსაზღვრავდა ომის შემდეგი მსოფლიოს შესახებ,წარმოდგენილი იყო მნიშვნელოვანი პირობები,მათ შორია თანამშრომლობითი უსაფრთხოება.

ატლანტიკის ქარტიამ დასაბამი დაუდო ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნას,მოგვიანებით კი,1941 წლის სექტემბერში მას შეუერთდა სსრკ და სხვა 9 სახელმწიფო,1942 წლის 1 იანვარს ქარტიის ხელმომწერებმა,ქარტიის მხარდამჭერმა 26-მა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ვაშინგტონის დეკლარაციას.[26]

ქარტია ხელისმომწერთა ძალისხმევის მიუხედავად ვერ განხორციელდა,მისი მთავარი გამანადგურებელი იალტურ-პოტსდამური სისტემა გახლდათ,რომელმაც მეორე მსოფლიო ომის შედეგები დააფიქსირა.

---

[25] https://en.wikipedia.org/wiki/Atlantic_Charterhttps://en.wikipedia.org/wiki/Atlantic_Charter

[26]http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90

3.2. აშშ-ევროკავშირის გეოსტრატეგიული თანამშრომლობის აქტუალური ასპექტები (სამშვიდობო მისიები, „ბერლინი+“ მოდელი)

ცივი ომის შემდგომ პერიოდში,ევროკავშირი ბევრი გამოწვევის წინაშე დადგა,მას შემდეგ რაც მან თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკაზე დაიწყო ფიქრი.ევროპაში კონფლიქტები გაჩაღდა,მათ შორის აღსანიშნავია იუგოსლავიის კონფლიქტი,რასაც ევროპა მოუმზადებელი შეხვდა,თუ აქამდე ნატო უზრუნველყოფდა მისი უსაფრთხოების გარანტირებას,ახლა მას საკუთარი არმიაც კი არ ყავდა რომ რეაგირება მოეხდინათ.ამერიკელებს არ სურდათ თავიანთი არმიის გაგზავნა,რადგანაც სომალიში დიდი რაოდენობით ჯარისკაცის გაგზავნის და დაღუპვის გამო დამკვიდრდა ,,მოგადიშუს სინდრომი''-აშშ თავს იკავებდა კონფლიქტში ჩართულიყო.

ცივი ომის დროს წარმატებით შესრულებული მისიით-საბჭოთა კავშირის ექსპანსიის შეჩერება-შექმნილმა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციამ არსებობა გააგრძელა ახალი ფუნქციებით,ამ პერიოდში მნიშვნელოვანი იყო ორგანიზაციული ცვლილებები,ნატოს ტრანსფორმაციის პროცესი,რომელიც მაშინ დაიწყო,დღემდე გრძელდება.ამ პროცესის ფარფლებში ორგანიზაცია ცდილობს ევროპის თავდაცვის ნატოს ფარგლებში განვითარებას შეუწყოს ხელი.ქვეყნების როლთან დაკავშირებით ორგანიზაციაში საუბარი ჯერ კიდევ 1990 წლიდან დაიწყო,როცა ნატოს ლონდონის სამიტზე მოკავშირეებს შორის პასუხისმგებლობების დაბალანსება განაცხადეს,სამიტზევე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ალიანსის წევრ სახელმწიფოებს უბიძგა ხელი შეეწყოთ ევროპის როლის გაზრდისკენ ორგანიზაციაში,აშშ-ს,როგორც ალიანსის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი

წევრის ამგვარი მოწოდება იქედან გამომდინარეობდა,რომ მას სურდა ევროპას მოვალეობები გაეზარდა ტრანსატლანტიკური უსაფრთხოების მშენებლობის ასპექტში.

აშშ-ევროკავშირის ურთიერთობებს მნიშვნელოვნად განაპირობებს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება,რომელიც ვაშინგტონში 1949 წელს დაიდო და რომელზეც ნატოა დაყრდნობილი:

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება

ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი - 4 აპრილი, 1949 წ.

..ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ადასტურებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის
წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანებისადმი ერთგულებას და მსოფლიოს ხალხებთან და მთავრობებთან მშვიდობიან გარემოში თანაარსებობის სურვილს. ისინი მოწოდებულნი არიან, დაიცვან საკუთარი ხალხის თავისუფლება,
საერთო მემკვიდრეობადა ცივილიზაცია, დამყარებული
დემოკრატიულ პრინციპებზე, ინდივიდუალურ თავისუფლებასა
და კანონის უზენაესობაზე. მხარეები ესწრაფვიან ჩრდილო - ატლანტიკურ სივრცეში სტაბილურობისა და კეთილდღეობის დამყარებას. ისინი გამოხატავენ მტკიცე ნებას, მოახდინონ საერთო ძალისხმევის მობილიზება კოლექტიური თავდაცვის
უზრუნველსაყოფად და მშვიდობისა და უსაფრთხოების
შესანარჩუნებლად. თანახმად ამისა, ისინი თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად,მხარეები კისრულობენ ვალდებულებას მოაგვარონ საერთაშორისო კონფლიქტი, რომელშიც ისინი შესაძლოა ჩაერთონ, მშვიდობიანი გზით იმგვარად, რომ საფრთხე არ შეექმნას საერთაშორისო მშვიდობას, უსაფრთხოებასა და მართლმსაჯულებას. ამასთანავე, თავი შეიკავონ საერთაშორისო ურთიერთობებში მუქარისა და ძალის გამოყენებისაგან, რაც ამა თუ იმ სახით ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებს.

მუხლი 2

მხარეები ხელს შეუწყობენ მეგობრული და მშვიდობიანი საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას დამოუკიდებელი ინსტიტუტების გაძლიერებით, ამ ინსტიტუტების საბაზისო პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლებითა და სტაბილურობისა და კეთილდღეობის განმტკიცების ხელშეწყობით. მხარეები მიისწრაფვიან, აღმოფხვრან წინაღობები თავიანთ საერთაშორისო ეკონომიკურ პოლიტიკაში და ხელი შეუწყონ ეკონომიკურ ურთიერთთანამშრომლობას.

მუხლი 3

ხელშეკრულების მიზნების უფრო ეფექტურად მისაღწევად, მხარეები ცალ-ცალკე და ერთობლივი ძალისხმევით შეინარჩუნებენ და განავითარებენ თავიანთ ინდივიდუალურ და კოლექტიურ თავდაცვით შესაძლებლობებს შეიარაღებული თავდასხმის მოსაგერიებლად.

მუხლი 4

მხარეები გამართავენ კონსულტაციებს, თუკი, რომელიმე მათგანის აზრით, ხელშეკრულების მონაწილე მხარის ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ დამოუკიდებლობასა თუ უსაფრთხოებას საფრთხე ემუქრება.

მუხლი 5

მხარეები თანხმდებიან, რომ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე ერთ ან ერთზე მეტ მხარეზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა აღიქმება ყველას წინააღმდეგ თავდასხმად. არსებულ შემთხვევაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური თუ კოლექტიური თავდაცვის უფლების საფუძველზე, მხარეები დახმარებას გაუწევენ საფრთხის ქვეშ მყოფ მხარეს ან მხარეებს და განახორციელებენ ყველა საჭირო ქმედებას, მათ შორის სამხედრო ძალის გამოყენებას, ჩრდილო-ატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოების აღდგენისა და შენარჩუნების მიზნით.

ნებისმიერი მსგავსი შეიარაღებული თავდასხმისა და მის საპასუხოდ განხორციელებული ქმედებების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უშიშროების საბჭოს. შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება დასრულდება უშიშროების საბჭოს მიერ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების აღდგენისა და შენარჩუნების მიზნით შესაბამისი ზომების მიღებისთანავე.

მუხლი 6 (1)

ხელშეკრულების მე-5 მუხლის მიზნებისთვის, მხარეზე ან მხარეებზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა ჩაითვლება ასეთად, თუ იგი განხორციელდა:

ხელშეკრულების მონაწილე მხარის ტერიტორიაზე ევროპაში ან ჩრდილოეთ ამერიკაში, საფრანგეთის ალჟირის დეპარტამენტებზე (2), და მონაწილე მხარის იურისდიქციის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე ან კუნძულებზე, რომლებიც არიან ჩრდილო-ატლანტიკური სივრცის კირჩხიბის ტროპიკის ჩრდილოეთით.

ხელშეკრულებაში მონაწილე მხარის შეიარაღებულ ძალებზე, გემებსა და ავიაციაზე, რომლებიც განლაგებულია ხსენებულ ტერიტორიებზე ან ევროპის ნებისმიერ სხვა ნაწილში, სადაც ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღეს რომელიმე მხარის საოკუპაციო ძალები იმყოფებოდნენ, ან ხმელთაშუა ზღვის, ან ჩრდილო-ატლანტიკურ რეგიონში კირჩხიბის ტროპიკის ჩრდილოეთით ტერიტორიებზე.

მუხლი 7

ხელშეკრულება არ მოახდენს გავლენას და არ იქნება ინტერპრეტირებული იმგვარად, რომ იქონიოს გავლენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით განსაზღვრული ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობებზე, რომლებიც გაეროს წევრი ქვეყნები არიან, ან უშიშროების საბჭოზე დაკისრებულ ძირითად პასუხისმგებლობაზე, შეინარჩუნოს საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება.

მუხლი 8

თითოეული მხარე აცხადებს, რომ რომელიმე სხვა მხარესთან ან მესამე სახელმწიფოსთან მის მიერ ნაკისრი მოქმედი საერთაშორისო ვალდებულება

არ ეწინააღმდეგება ამ ხელშეკრულების დებულებებს და იღებს ვალდებულებას, არ მიიღოს მონაწილეობა ისეთ საერთაშორისო შეთანხმებებში, რაც წინააღმდეგობაში მოვა ამ ხელშეკრულებასთან.

მუხლი 9

აღნიშნული ხელშეკრულების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები აყალიბებენ საბჭოს თითოეული მათგანის უშუალო წარმომადგენლობით. საბჭო ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ნებისმიერ დროს შეეძლოს შეკრება. ასევე, საბჭომ საჭიროების მიხედვით, შესაძლებელია, შექმნას დამხმარე ორგანოები, კერძოდ, დაუყოვნებლივ ჩამოაყალიბოს თავდაცვის კომიტეტი, ხელშეკრულების მე-3 და მე-5 მუხლების მიზნების იმპლემენტაციისთვის რეკომენდაციების გასაწევად.

მუხლი 10

მხარეებს კონსენსუსის გზით შეუძლიათ მოიწვიონ ალიანსში ევროპის ნებისმიერი სახელმწიფო, რომელსაც შესწევს უნარი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ამოცანების განხორციელებას შეუწყოს ხელი და შეიტანოს წვლილი ჩრდილო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. მოწვეული ქვეყანა შეიძლება გახდეს ხელშეკრულების მხარე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისთვის მიერთების შესახებ დოკუმენტის გადაცემით. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აღნიშნულის შესახებ აცნობებს ხელშეკრულების მონაწილე თითოეულ მხარეს.

მუხლი 11

მხარეები მოახდენენ აღნიშნული ხელშეკრულების რატიფიკაციას და განახორციელებენ მის დებულებებს თავიანთი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად. სარატიფიკაციო ინსტრუმენტები დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომელიც აღნიშნულის შესახებ აცნობებს სხვა ხელმომწერ მხარეებს. ხელშეკრულება ძალაში შედის იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებმაც მოახდინეს ხელშეკრულების რატიფიკაცია ხელმომწერი სახელმწიფოთა უმრავლესობის, მათ შორის ბელგიის, კანადის, საფრანგეთის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, გაერთიანებული სამეფოსა და ამერიკის შეერთებული შტატების რატიფიკაციის ინსტრუმენტების შესანახად გადაცემისთანავე. ხოლო სხვა სახელმწიფოების მიმართ ხელშეკრულება ძალაში შევა მათი სარატიფიკაციო ინსტრუმენტის გადაცემის დღეს.(3)

მუხლი 12

ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 10 წლის შემდეგ, ნებისმიერი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, მხარეები გამართავენ ერთობლივ კონსულტაციებს ხელშეკრულების გადახედვასთან დაკავშირებით, ჩრდილოატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებასა და მშვიდობაზე გავლენის მქონე არსებული ფაქტორების მხედველობაში მიღებით, მათ შორის გლობალურ და რეგიონალურ დონეზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საფუძველზე, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით შემუშავებული შეთანხმებების გათვალისწინებით.

მუხლი 13

ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 20 წლის გასვლის შემდეგ ნებისმიერ მონაწილე მხარეს შეუძლია შეაჩეროს საკუთარი წევრობა ამერიკის

შეერთებული შტატების მთავრობისთვის დენონსაციის შესახებ შეტყობინების წარდგენიდან ერთი წლის შემდეგ, რომელიც, თავის მხრივ, ამის შესახებ ამცნობს ხელშეკრულების სხვა მხარეებს.

მუხლი 14

წინამდებარე ხელშეკრულება, რომლის ინგლისური და ფრანგული ორიგინალები ავთენტურია, შეინახება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის არქივში. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ხელშეკრულების სათანადოდ დამოწმებულ ასლებს გადასცემს ხელმომწერი მხარეების მთავრობებს.

იმ ტერიტორიების განსაზღვრება, რომლებზეც ვრცელდება ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლი გადაიხედა 1951 წლის 22 ოქტომბერს ხელმოწერილი საბერძნეთისა და თურქეთის გაწევრიანების შესახებ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ოქმის მე-2 მუხლით.

1963 წლის 16 იანვარს ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ აღნიშნა, რომ ხელშეკრულების ის პუნქტები, რომლებიც ეხებოდა საფრანგეთის ყოფილ ალჟირის დეპარტამენტებს, გახდა არარელევანტური 1962 წლის 3 ივლისიდან.

ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1949 წლის 24 აგვისტოს ყველა ხელმომწერი ქვეყნის მიერ სარატიფიკაციო ინსტრუმენტების გადაცემის შემდეგ.[27]''

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის-ნატოს დანიშნულების შესახებ 21-ე საუკუნეში ხშირად საუბრობენ,ვერ გაურკვევიათ რატომ არ დაიშალა ნატო მისი მისიის შესრულების შემდეგ ცივი ომის

[27] https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_17120.htm?selectedLocale=ka

დროს.1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ორგანიზაცია ფაქტობრივად უფუნქციო სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსად მიიჩნეოდა,თუმცა დაშლის ნაცვლად მან გაფართოება დაიწყო და 1999 წელს ახალი ქვეყნები მიიღო უნგრეთის,ჩეხეთისა და პოლონეთის სახით.

,,კენეტ უოლცი, თავის სტატიაში ,,ძალთა ბალანსი და ნატოს გაფართოება" ამტკიცებს, რომ მისი წინასწარმეტყველება უკვე ახდა, რადგან დღესდღეობით კაცი ვერ იტყვის ვის წინააღმდეგ იცავს თავს ნატო.

უოლცი ნატოს გაფართოებას ხსნის ძალთა ბალანსის თეორიის მიხედვთ. იგი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიო პოლიტიკური სისტემა გახდა უნიპოლარული, და აშშ გახდა ერთადერთი ყველაზე ძლიერი სახელმწიფო მსოფლიოში. უოლცის მიხედვით ,,ისევე როგორც ბუნება ვერ იტანს ვაკუუმს, ასევე საერთაშორისო პოლიტიკა ვერ იტანს დაუბალანსებელ ძალას."მაგრამ ჯერჯერობით ამერიკის ძლიერება არავის დაუბალანსებია და სანამ ეს მოხდებოდეს ამერიკა მიილტვის ძალისა და ძლიერების მაქსიმიზაციისაკენ. უოლცი ასახელებს ორ მიზეზს თუ ჯერჯერობით რატომ არის, რომ დანარჩენ მსოფლიოს არ ჰქონია ამერიკის ძლიერების დაბალანსების მცდელობა: პირველი, ზოგიერთი სამხელმწიფო ამერიკას აღიქვამს როგორც კეთილ ლიდერს და არ გრძნობს თავს იმ დონემდე შეშინებულად, რომ რაიმე ქმედითი განახორციელოს და მეორე, სხვებს არ აქვთ სურვილი ჩაებან ძვირადღირებულ ძალთა გადანაწილების თამაშებში. მაგრამ, უოლცი ღრმად არის დარწმუნებული, რომ საბოლოოდ ძალთა ბალანსი აღდგება. იგი ასახელებს ევროკავშირს, ჩინეთს და იაპონიას მომავალ დიდ სახელმწიფოთა ამპლუაში. იგი ასევე დასძენს, რომ თეორიას არ ძალუძს იმის განჭვრეტა თუ როდის მოხდება ძალთა ბალანსის აღდგენა და ასვე ამბობს, რომ დაბალანსება სახელმწიფოთა შორის არ არის აუცილებელი

მოვლენა. შესაძლებელია, რომ ჰეგემონმა ეს პროცესი შეაჩეროს, როგორც ეს ევროპაში მოხდა.

უოლცი ასახელებს სამ მიზეზს, რომელმაც გამოიწვია ნატოს გაფართოების გადაწყვეტილების მიღება. პირველი - ორგანიზაციებს, განსაკუთრებით კი დიდ ორგანიზაციებს ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობა ახასიათებთ. მეორე და უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი მისი თქმით არის ის, რომ ნატოს გაფართოება არის ერთ-ერთი საშუალება იმისათვის, რომ ამერიკამ თავისი როლი და არსებობა შეინარჩუნოს ევროპის სამხედრო და საგარეო საქმეებში. მესამე მიზეზი არის ამერიკის შიდა პოლიტიკის ზეგავლენა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, უოლცის მიზანია გვაჩვენოს, რომ ინსტიტუტები ემსახურებიან ეროვნულ და არა საერთაშორისო ინტერესებს, განსხვავებით ქვემოთ განხილული ორი თეორიისგან. უფრო მეტიც, უოლცი ამტკიცებს, რომ ,,ნატო არსებობდა როგორც სამხედრო კავშირი იმდენი ხანი რამდენი ხანიც საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა პირდაპირ საფრთხეს მისი წევრი სახელმწიფოებისადმი. ის არსებობს და ფართოვდება ახლა არა მისი ინსტიტუციების წყალობით არამედ იმიტომ, რომ ასე სურს ამერიკის შეერთებულ შტატებს."[28]

ნატომ ახალი ფუნქციები შეიძინა და თანამედროვე სამყაროს გამოწვევებთან უწევს გამკლავება,არც ვაშინგტონისთვის არის იოლი ალიანსის დაფინანსება,ამიტომ არსებობის შენარჩუნებისთვის წევრი სახელმწიფოების მეტი ჩართულობაა საჭირო თავდაცვის სფეროში,კოლექტიური თავდაცვის ფარგლებში მნიშვნელოვანია სიახლეები და ახალი მიდგომები,რადგანაც არ

[28] ეკა აკობია, ,,საერთაშორისო ურთიერთობები,თბილისი2006,გვ 55-56

არსებობს ალტერნატივა იმ ქვეყნების რესურსის,ვინც ალიანსს სამხედრო კუთხით ამარაგებენ.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის შესახებ ბევრი დადებითისა და უარყოფითის,ბევრი მითისა და რეალობის გამიჯვნაა შესაძლებელი.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია,რომ ნატო ეხმარება მის წევრ ქვეყნებს თავდაცვითი პროგრამის შემუშავებაში და კონსულტაციას უწევს მათ ეკონომიკურ და სხვა საკითხებში,განსაკუთრებით ხელსაყრელია ნატოში ყოფნა პატარა ქვეყნებისთვის,რომლებიც ვერ ახერხებენ საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნვას დამოუკიდებლად,ალიანსი კი ამის გარანტია,თუმცაღა ამ შემთვევაში ისიც განსასაზღვრია რა უფრო ჯობია-იყოს პატარა ქვეყანა ნეიტრალური და სამხედრო ალიანსის წევრი,რადგანაც ნეიტრალურობის სტატუსი მთელ რიგ კონცეფციებს მოიცავს,პატარა ქვეყნები ნატოში ყოფნას ამჯობინებენ.[29]

როგორც ვიცით,2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ამოქმედდა ნატოს მე-5 მუხლი,მაშინ ალიანსის წევრმა ცხრამეტივე ქვეყანამ ერთხმად აღიარა ამის აუცილებლობა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისთვის გაერთიანება,თუმცა მოგვიანებით რიგმა ქვეყნებმა განსხვავებული პოზიცია დააფიქსირეს,თუკი მაგალითად აშშ-სთვის მთავარ საფრთხედ მიიჩნეოდა,ევროპის ქვეყნებისთვის ნაკლებად წარმოადგენდა პრიორიტეტს.ზოგიერთი ექსპერტი აღნიშნავს,რომ ნატოსგან იმ პერიოდში მეტს მოელოდნენ.მიუხედავად 2001 წლის 12 სექტემბერს გაკეთებული განაცხადისა,ალიანსის წევრი ყველა ქვეყანა განსხვავებულად

[29] https://mokslai.lt/referatai/anglu_kalba/advantages-and-disadvantages-of-joining-nato.html

რეაგირებდა,ბრიტანეთმა გააგზავნა თავისი კონტინგენტი ავღანეთში,რომელიც აშშ-ს სამხედროებთან ერთად იბრძოლებდა,რაც შეეხება ალიანსის კიდევ ერთ მნიშვნელოვან წევრს,საფრანგეთს,მან მხოლოდ ორი თვის შემდეგ განაცხადა მზადყოფნა აშშ-ს დასახმარებლად.საბოლოოდ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტა მხოლოდ საკუთარი თავის იმედად ყოფილიყო,მხოლოდ ბრიტანეთის დახმარება საჭირო არ იყო,სხვა ევროპულ სახელმწიფოებს საჭირო ტრანსპორტირების საშუალებებიც არ ყავდათ სამხედრო შენაერთების გადასაყვანად.

„ამერიკის შეერთებული შტატები იძულებული იყო საერთაშორისო უსაფრთხოების ისეთი სისტემა აერჩიათ, რომელიც საკუთარი არმიის სიძლიერეზე იქნებოდა დაფუძნებული. ევროპა აგრძელებს საკუთარი რეგიონის განვითარებაზე ორიენტირებას.”, აღნიშნავდა მ. ტრანხტენბერგი.

ასეთი მდგომარეობის შედეგად ალიანსმა მიიღო სპეციალური ზომები,რათა აშშ-ს დახმარებოდა ტერორისზმის წინააღმდეგ საბრძოლვევად.[30]

აღსანიშნავია,რომ თუკი რაიმე მასშტაბური მოვლენის გამო კიდევ ერთხელ საჭირო იქნება ალიანსის მეხუთე მუხლის გამოყენება,რომლის მიხედვითაც ერთ სახელმწიფოზე თავდასხმა სხვა სახელმწიფოებზე თავდასხმას ნიშნავს,საკმაოდ რეალურია დაიწყოს მესამე მსოფლიო ომი,რაც არავის აწყობს.

რაც შეეხება ევროკავშირს,პოლიტიკური ერთობის შექმნა ევროპულ სახელმწიფოებს გაერთიანებისთანავე სურდათ.ევროპული ინტეგრაციის საწყისად 1950 წელი მიიჩნევა,როდესაც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა,რობერტ შუმანმა დასავლეთ ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის

[30] ნ.ჩიტაძე,2008

საბადოების გაერთიანების იდეა წამოაყენა,იდეა განხორციელდა და ერთი წლის შემდეგ,1951 წელს ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება (European Coal and Steel Community) შეიქმნა.მიზნად დაისახეს შეექმნათ სუპრაეროვნული ,,უმაღლესი ხელისუფლება'',რომელიც წევრ ქვეყნებს შორის წარმოებისა და რეალიზაციის საკითხებს წარმართავდა და გააკონტროლებდა.

1950 წელს საფრანგეთის პრემიერ მინისტრმა პლევენმა ,,პლევენის გეგმა'' წამოაყენა,რომლის დედააზრი ევროპული არმიის შექმნა გახლდათ.ეს იდეა სწორედ ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების ფარგლებში განიხილეს,თუმცა საფრანგეთის სენატის წინააღმდეგომის გამო იდეამ ფიასკო განიცადა.1954 წლის 30 აგვისტოს საფრანგეთის ეროვნულმა ასამბლეამ გეგმა უარყო.[31]

აღსანიშნავია,რომ იდეის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში მსოფლიო მნიშვნელოვანი ცვლილებების წინაშე დადგებოდა,ევროპელები ერთიანი არმიის შექმნით პოლიტიკური და სამხედრო ინტეგრაციის უმაღლეს დონეს მიაღწევდნენ.

,,პლევენის გეგმის'' ჩავარდნამ ევროპის გაერთიანების წარმომადგენლები არ შეჩერებულან,ისინი ალტერნატივების მოძიებას ცდილობდნენ,როგორ მიეღწიათ ერთმანეთს შორის მჭიდო თანამშრომლობისთვის.1970 წელს ლუქსემბურგის სამიტზე მათ ,,დავინიონის მოხსენება''წარადგინეს,რომლის შემდეგაც საფუძველი ჩაეყარა რეგურალურ შეხვედრებს,სადაც განიხილებოდა საგარეო პოლიტიკის საკითხები.ამ თანამშრომლობის ფარგლებში რამდენიმე მნიშვნელოვან წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი,მათ

[31] ს.კაპანაძე,2006

შორისაა ისიც,რომ შეიქმნა ევროპელი კორესპონტენტების ჯგუფი,რომელთაც პოლიტიკური თანამშრომლობის საქმიანობის მონიტორინგი ევალებოდათ.

პოლიტიკური თანამშრომლობის იდეა ევროპელებისთვის ნამდვილად კარგი წამოწყება იყო,თუმცაღა ამას აფერხებდა ის ფაქტი,რომ ფორუმებზე მხოლოდ კონსულტაციების გაწევით შემოიფარგლებოდნენ,მათ ხელ არ ეწიფებოდათ მიღებული გადაწყვეტილებების რეალურად დაკანონება და შესაბამისად სისრულეში მოყვანა.ბუნებრივია ფორუმს,რომელიც მხოლოდ ინფორმაციის მიმოცვლით იყო დაკავებული,ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა,ისინი თვლიდნენ,რომ რეალური შედეგების განხორციელების გარეშე ამგვარ შეხვედრებს აზრი ეკარგებოდა.ისინი მართლები იყვნენ,საერთო პოლიტიკური აზრის არარსებობა ნათლად გამოვლინდა იუგოსლავიის დაშლის პროცესში,ევროპაში აზრი ორად გაიყო,მათ შორის ერთსულოვნება არ არსებობდა,გამოიკვეთა ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციები.თუ გერმანია სლოვენიისა და ხორვატიის დამოუკიდებლობას უჭერდა მხარს,ესპანეთი,საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი იუგოსლავიის ერთიანობის მომხრე იყვნენ.იუგოსლავიის კონფლიქტის შემდეგ,რომელსაც თან ასევე ეთნიკური ომები ახლდა,ევროგაერთიანება მივიდა იმ დასკვნამდე რომ საგარეო პოლიტიკაში არსებული ხარვეზების გარდა,ისინი სუსტები იყვნენ თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებშიც.დრო იყო უსაფრთხოებაზე დაეწყოთ ფიქრი,ისინი ხვდებოდნენ,რომ არმიის არარსებობით ისინი საერთაშორისო არენაზე უსუსურები და უმწეოები იყვნენ,მათ საკუთარ ტერიტორიაზე წარმოებული სისხლიმღვრელი ომების შეჩერებაც კი არ შეეძლოთ.პრობლემების მოსაგვარებლად გარე ძალას,ამერიკის შეერთებულ შტატებს მიმართავდა,თავად კი რეალური ნაბიჯების გადადგმა არ

შეეძლო,ასეთ მდგომარეობაში ევროგაერთიანება ვერანაირ წვლილს ვერ შეიტანდა გლობალური უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში.

იდეა ერთიანი ევროპის შესახებ,რომლის თანახმადაც ევროპა ერთიან პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენს,ბევრად ადრე დაიბადა,ვიდრე 1945 წელს.მას შემდეგ,რაც მე-16 საუკუნეში სუვერენული სახელმწიფოები ჩამოყალიბდნენ ევროპაში,მოაზროვნეები,რომელთა რიგებს ავსებდნენ ჟან-ჟაკ რუსო,ჯუზეპე მაძინი,ანდრი დე სენ-სიმონი ფიქრობდნენ საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბების კონცეფციებზე,თუმცაღა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრამდე მათი იდეები უიმედოდ და არარეალისტურად მიიჩნეოდა.მსოფლიო ომებმა კი სიტუაცია მკვეთრად შეცვალა,მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი ამგვარი ორგანიზაციის შექმნის სასწრაფო აუცილებლობა დადგა.საფუძველს არ იყო მოკლებული მსჯელობა,რომლის მიხედვითაც უინსტონ ჩერჩილის 1946 წელს გამოთქმული ინიციატივა ,,ევროპის შეერთებული შტატების'' შექმნასთან დაკავშირებით მართლდება.მოხსენებით იგი ციურიხში წარსდგა,საერთო ევროპული ოჯახის ჩამოყალიბების შემდეგ პირველ ნაბიჯებად ჩერჩილი საფრანგეთისა და გერმანიის ურთიერთობების დაბალანსებას მოიაზრებდა,რომლის შედეგადაც საფრანგეთი ევროპის მორალურ ლიდერად იქცეოდა,იგი ასევე აქცენტს აკეთებდა დროის დეფიციტსა და საფრთხის არსებობაზე,რის გამოც ძალიან უნდა დაეჩქარებინათ ინიციატივის განხორციელება.

ევროპული ინტეგრაციის შექმნილი მოდელი იყო არაორდინალური და ინოვაციური,ერი სახელმწოფოები ერთიანდებოდნენ მიუხედავად კულტურული,ისტორიული და ენობრივი განსხვავებებისა.

ფეხზე წამომდგარი,გაერთიანებული და განვითარებული ევროპის იდეა ამერიკის შეერთებულ შტატებსაც ხიბლავდა,იგი მისთვის მოიაზრებოდა,როგორც მოკავშირე და არა როგორც მტერი.ამისთვის მას ლოგიკური მიზეზების ჰქონდა.ევროპა იქცეოდა ამერიკული საქონლის რეალიზატორად და ასევე ერთად იბრძოლებდნენ კომუნიზმის წინააღმდეგ.[32]

1992 წელს მაასტრიხტის ხელშეკრულების ჩამოყალიბების პროცესში,ევროგაერთიენების ქვეყნები მივიდნენ იმ ერთიან დასკვნამდე,რომ საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა (სსუპ) ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა უნდა ყოფილიყო.

მაასტრიხტის ხელშუკრულების,ანუ ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების მომზადებისას ნათლად წარმოჩინდა,რომ აშშ-სა და ევროკავშირს განსხვავებული შეხედულებები გააჩნდათ.ევროკავშირის სურვილი იყო ევროკავშირის სამხედრო საყრდენი დასავლეთ ევროპის კავშირი ყოფილიყო,ამ პოზიციას უარსაყოფად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 1991 წელს დეკ-ის მინისტერიალზე ,,ბართლომეს ტელეგრამა'' გააგზავნა,სადაც იუწყებოდა,რომ ევროპული თავდაცვა აუცილებლად ალიანსის ფარგლებს შიგნით უნდა განხორციელებულიყო.

70-იან წლების დასაწყისამდე დასავლეთ ევროპის კავშირი უსაფრთხოების განვითარების საქმეში ლიდერის როლს თამაშობდა,თუმცაღა იგი უფლებამოსილებებს კარგავდა ნატოს სასარგებლოდ.მაასტრიხტის ხელშეკრულებამ დასავლეთ ევროპის კავშირი ევროკავშირის ნაწილად გამოაცხადა და დაავალა მას თავდაცვის სფეროში ევროკავშირის დებულებები მოემზადებინა.1992 წელს პეტერსბერგის საბჭოს დებულების

[32] ე.ჰეივუდი,2007

მიხედვით დეკ-ის ფუნქციები და უფლებამოსილება კიდევ უფრო გაფართოვდა,მას ენიჭებოდა უფრო კონკრეტული მისიები,ამოცანები,რომელთაც პეტერსბერგის დეკლარაციის სახელით ვიცნობთ.პეტერსბერგის ამოცანები მოიაზრებს სამშვიდოებო მისიებს,ჰუმანიტარულ და სამაშველო სამუშაოებს,კრიზისის მართვის მისიებს.

1997 წელს ხელი მოეწერა ამსტერდამის ხელშეკრულებას,რითაც ევროკავშირმა საკუთარ თავზე პეტერსბერგის ამოცანების შესრულების მისია დაიკისრა,რის საპასუხოდაც 1999 წელს ვაშინგტონის სამიტზე ევროპის თავდაცვის იდენტობის გასაღრმავებლად ნატოს შიგნით მიიღეს ზომები,შეთანხმების შედეგად ასევე შესაძლებელი იქნებოდა ევროკავშირს გამოეყენებინა აშშ–ს სამხედრო პოტენციალი,შეთანხმება ფაქტობრივად 2002 წლის დეკემბერში განხორციელდა და ეწოდა ბერლინი+მოდელი (Berlini Plus Agreement),იმ მიზეზით რომ მისი და 1992 წლის ნატო-დეკის პრინციპები იდენტური გახლდათ.

,,ბერლინი + დაეყრდნო 4 ძირითად პრინციპს:

1. ევროკავშირს აქვს გარანტირებული შეღწევის უფლება ნატოს ოპერაციული დაგეგმვის საშუალებებში;

2. ევროკავშირისთვის ხელმისაწვდომია ნატოს შესაძლებლობები (იარაღი, ძალები) და საერთო ქონება;

3. ევროკავშირისთვის ხელმისაწვდომია ნატოს სარდლობა;

4. ნატოს სამხედრო ძალების ადაპტაცია ხორციელდება ისე, რომ ევროპული ოპერაციებისთვის ძალების გამოყოფა გახდეს შესაძლებელი. იმისათვის, რომ მოხდეს ოპერაციების შეუფერხებელი მომზადება ევროკავშირმა წარგზავნა

სტრატეგიული მგეგმავების პატარა ჯგუფი SHAPE-ში, რათა მათ უხელმძღვანელონ ოპერაციებს, რომელიც ჩატარდება ბერლინი + ფარგლებში (ასეთი ოპერაციის მაგალითია SFOR-ის ჩანაცვლება EUFOR-ით 2004 წლის დეკემბერში).

2002 წლის 16 დეკემბერს გამოიცა ევროკავშირის და ნატოს ერთობლივი დეკლარაცია ეუთპ-ს შესახებ, რომელშიც გაჟღერებული იქნა რამდენიმე პერმანენტული პრინციპი - პარტნიორობა, გამჭვირვალეობა და შესაძლებლობების ურთიერთშეთანხმებულად განვითარება. ამავე დეკლარაციით ნატომ დაადასტურა ევროკავშირისთვის ნატოს დაგეგმარების შესაძლებლობების ხელმისაწვდომობა, ხოლო ევროპამ პირობა დადო, რომ უზრუნველყოფდა ევროკავშირის არაწევრი ნატოს წევრი სახელმწიფოების მონაწილეობას ეუთპ-ს ოპერაციებში.

ნატოს და ევროკავშირის ურთიერთობას ასევე ზურგს უმაგრებს 2001 წლიდან დაწყებული კონსულტაციები ევროკავშირის პოლიტიკურ და უსაფრთხოების კომიტეტს (PSC) და ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს (NAC) შორის. ასევე, 2003 წლის მაისში შეიქმნა ე.წ. ევრო კავშირი-ნატოს შესაძლებლობების ჯგუფი რომელმაც უნდა უზრუნველყოს ერთუერთმხარდაჭერა PCC და ECAP შორის.''[33]

ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის ერთ-ერთი მთავარი ცვლილება და გამოწვევა გახლდათ უნდა ჩარეულიყო თუ არა იგი კრიზისების რეგულირებასა და სამშვიდობო მისიებში,განურჩევლად კონფლიქტის ადგილმდებარეობისა.მან გადაწყვიტა,რომ მომავალი საფრთხე ადგილმდებარეობის მიხედვით არ უნდა შეეფასებინა.მეოცე საუკუნის 20-იან

[33] ს.კაპანაძე, ,,ევროკავშირის პოლიტიკა'',თბილისი 2006,გვ.72

წლებში ალიანსმა პორველი სამშვიდობო ოპერაციები განახორციელა:ბალკანეთში 1995 წელს,კოსოვოში 1999 წელს,ხოლო მაკედონიაში 2001 წელს,2003 წელს კი ავღანეთის კონფლიქტში ჩართულობით დაამტკიცა,მას უფრო მეტის გაკეთება შეეძლო,ვიდრე ევროპის ზოგიერთ ქვეყანას და რომ მას შეუძლია რეაგირება მისი არეალის-ტრანსატლანტიკის მიღმაც.

2001 წლიდან ოპერაცია ,,აქტიური ძალისხმევის''(Active Endeavor) ფარგლებში ნატოს სამხედრო-საზღვაო ძალები პატრულირებენ ხმელთაშუა ზღვის წყლებში,აკონტროლებენ გემების მიმოსვლას და გიბრალტარის სრუტეში სავაჭრო გემებს უწევენ თანხლებას,აქტიური ძალისხმევის მთავარი მიზანი ტერორიზმის აღკვეთა და განეიტრალებაა,იგი ასევე ხელს უწყობს რეგიონში სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას,ოპერაციაში ჩართულნი არიან,როგორც წევრი,ასევე პარტნიორი ქვეყნებიც.[34]

მიუხედავად იმისა,რომ ევროკავშირი და ნატო ორი სხვადასხვა ორგანიზაციაა,მათ ის აერთიანებთ,რომ ორივე სახელმწიფოთაშორისია და გადაწყვეტილებას ბევრი სახწლმწიფო იღებს,ნატოს წევრი ქვეყნების უმრავლესობა ამავდროულად ევროკავშირის წევრიცაა,ევროპული სახელმწიფოების დამოკიდებულება ნატოსთან მეტწილად დამოკიდებულია ევროკავშირის პრიორიტეტებზე და რამდენად პასუხობენ ისინი აშშ-ს ინტერესებს.

როგორც 90-იან წლებში ევროკავშირში ჩატარებულმა რეფორმებმა დაგვანახა,ევროკავშირმა დამოუკიდებელი ნაბიჯები გადადგა საკუთარი სამხედრო წარმოების შესაქმნელად,ბევრ ევროპელს სურს ევროკავშირს

[34] http://infocenter.gov.ge/peacekeeping-missions/#1

ქონდეს ისეთი სამხედრო პოტენციალი რომ ამერიკის შეერთებულ შტატებზე არ იყოს დამოკიდებული.[35]

ევროკავშირი-აშშ-ს განწყობები ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულია ასევე ხელისუფლებაში მყოფ პირებზე.ბუშის ადმინისტრაციამ უარი განაცხადა ხელი მოეწერა კიოტოს პროტოკოლზე,რაც CO2-ის ემისიას ითვალისწინებდა,თვლიდა,რომ აშშ-ს ეკონომიკის განვითარებას ეს ხელს შეუშლიდა და რომ არანაირი აზრი არ ქონდა.აშშ-ს დღევანდელი პრეზიდენტის,დონალდ ტრამპის პოზიცია ახლოს არის ბუშის პოზიციასთან,მან პრეტენზია გამოთქვა რატომ იყიდებოდა გერმანელების მილიონობით მანქანა აშშ-ში,მხარი დაუჭირა Brexit-ს,რასაც შეიძლება თავისუფლად მოყვეს Frexit,Grexit,ეს მოვლენები კი პირდაპირ კავშირში იქნება ევროკავშირის დაშლასთან.

განსხვავებული პოზიცია აქვთ ევროპასა და აშშ-ს ირანის მიმართაც,ამერიკა ომის დაწყებას არ გამორიცხავს,ევროკავშირი კი დიპლომატიური გზით აპირებს მოლაპარაკებების წარმოებას.

ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები რეალიზმის კონცეფციის ჭრილშიც შეიძლება განვიხილოთ. ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც ზესახელმწიფოდ მოიხსენიებოდა 1970-წლამდე და ჰეგემონად იყო მიჩნეული, აკონტროლებდა და მართავდა ევროკავშირს, დღესდღეობით კი სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა, აშშ-ს ეკონომიკურმა დაღმასვლამ განაპირობა ის ფაქტი, რომ იგი საერთაშორისო არენაზე იმდენად ძლიერი აღარ არის როგორც ადრე, ევროკავშირს კი დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმა უწევს.

[35] ნ.ჩიტაძე,2008

საერთაშორისო პოლიტიკაში ომი და მისი ალბათობა 21-ე საუკუნეშიც კი სავსებით მოსალოდნელია.ომის მიზნები და შედეგები ამგვარად შეიძლება დავახასიათოთ:რესურსების გადანაწილება,საზღვრების საკითხი,იარაღით ვაჭრობა,მცირე სახელმწიფოების ბედ-იღბალი,ძალის გადანაწილება,დომინირება.

დღესაც კი,ამერიკის შეერთებულ შტატებს მისი სამხედრო სიძლიერის მიუხედავად ბევრი სამხედრო საფრთხე ემუქრება.საფუძველს არ არის მოკლებული ის მოსაზრება,რომ აშშ-ს უსაფრთხოების ხარისხი ცივი ომის პერიოდთან შედარებით თითქმის არ გაზრდილა.პოტენციური საფრთხე მომდინარეობს როგორც ჩინეთისგან და რუსეთისგან,ასევე ,,თაღლითი''სახელმწიფოებისგანაც.თუმცა ამგვარი გამოწვევები ამერიკის შეერთებულ შტატებს არ უქმნის იმ დონის საფრთხეს,რომ ამ უკანასკნელის სასიცოცხლო ინტერესები დაზარალდეს.[36]

ამერიკის შეერთებული შტატები-ქვეყანა, რომელიც ბევრისთვის იდეალია,განსაკუთრებულ ძალადობას ავლენს და თვითონვე არღვევს ადამიანის უფლებებს,რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება ევროკავშირი.

ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი სიკვდილით დასჯაა, აშშ-ს 31 შტატი მისი მომხრეა,ასევე ამერიკის შეერთებული შტატების პოლიცია განსაკუთრებული ძალადობის გამოვლინების გამო კრიტიკის ქარცეცხლშია გახვეული. იგი უფრო მეტ ადამიანს კლავს რამდენიმე დღეში, ვიდრე სხვა ქვეყნები რამდენიმე წელიწადში.მაგალითისთვის, 2015 წელს მოკლულთა რიცხვმა 1145-ს მიაღწია,რაც შეეხება ცრემლმდენი გაზს,იგი ქიმიურ იარაღადაა

[36] არტი;ჯერვისი,2011

მიჩნეული და გამოყენება საერთაშორისო საომარ მოქმედებებში წლიდან აკრძალულია, ამის მიუხედავად აშშ-ში პოლიციას ლეგალურად შეუძლია მისი გამოყენება,აშშ-ს 19 შტატი საჯარო სკოლებში დღემდე იყენებს ცემის მეთოდებს მოსწავლეებზე, რაც პირდაპირ კავშირშია ძალადობასთან.[37]

დასკვნა

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა,თუ რა როლი აქვს ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობას 21-ე საუკუნის სტრატეგიული სტაბილურობის პირობებში,რა ცვლილებებს განიცდის მათი თანამშრომლობა და როგორ აისახება ეს საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაზე.კვლევის შეჯამებისა და შედეგების წარმოსაჩენად პასუხი გავეცით შესავალში დასმულ საკვლევ კითხვებს.

37 https://www.factslides.com/s-USA

- რა განაპირობებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის,, ინტერესთა სხვაობას, რაში გამოიხატება მათი საერთო აზრი და რაში ვერ თანხმდებიან?

ცივი ომის დასრულების შემდეგ,გეოპოლიტიკური ტრანზიციის პირობებში ევროპამ შეძლო და დამოუკიდებელი ნაბიჯები გადადგა საკუთარი უსაფრთხოებისა და წინსვლისთვის,ის უკვე ნაკლებადაა დამოკიდებული აშშ-ზე და შეუძლია საკუთარი პოზიციის თამამად დადასტურება,ისინი ძირითადად ვერ თანხმდებიან ისეთ მნიშვნელოვან და ძირითად საკითხებში,როგორიცაა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა,გარემოს დაცვის საკითხები,უსაფრთხოების საკითხები.თუმცაღა ამის მიუხედავად მათ აკავშირებთ მჭიდრო სტრატეგიული თანამშრომლობა და სამშვიდობო მისიები.

,,რიგ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით ამერიკას და ევროპას მართლაც აღმოაჩნდათ განსხვავებული ინტერესები, რაც ობიექტურად არსებული ისტორიული, კულტურული, გეოგრაფიული, პოლიტიკური, სამხედრო თუ ეკონომიკური მიზეზებით და თავისებურებებით არის განპირობებული. ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორი ჰ. ნეი ევროპის პოზიციის შესახებ წერდა: „თავის დროზე ევროპას, რომ გამოეყო მნიშვნელოვანი ძალები საუდის არაბეთის და სპარსეთის ყურის დასაცავად, დღეს ასეთი ერთსულოვანი იქნებოდა ერაყის და სადამ ჰუსეინის მიმართ? კორეაში 38-ე პარალელზე ევროპას 37 000 ჯარისკაცი რომ ჰყავდეს და კიდევ 40 000 იაპონიაში, ასეთივე დაინტერესებული იქნებოდა ჩრდილოეთ კორეის დაშოშმინებით, საინჟინრო ნაღმების აკრძალვით, რომლებიც იქ მყოფ ამერიკელ ჯარებს იცავენ, ან რაკეტსაწინააღმდეგო ჭურვების აკრძალვით,

რომლებიც საზღვრებს გარეთ მყოფი ამერიკელი ჯარისკაცების უსაფრთხოების გარანტიაა".

რუსი მეცნიერის უტკინის აზრით ერთ-ერთი მთავარი ასპექტი, რომელიც განაპირობებს ამერიკის და ევროპის განსხვავებულ ინტერესებს არის ის, რომ დასავლეთი ევროპა დიდწილად არის დამოკიდებული ახლო აღმოსავლეთიდან და რუსეთიდან ენერგიის ექსპორტზე, ხოლო ენერგომატარებლების იმპორტის შეწყვეტა ან დროებითი შეჩერება გამიწვევდა ევროკავშირის ეკონომიკის კოლაფსს. ევროკავშირისგან განსხვავებით აშშ შედარებით ნაკლებად არის დამოკიდებული ახლო აღმოსავლეთიდან ენერგიის იმპორტზე. ამერიკას შეუძლია ისლამურ სამყაროსთან დაპირისპირების შემთხვევაში აამოქმედოს თავის ნავთობის რეზერვები და გაზარდოს ნავთობის იმპორტი ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან, თუნდაც იგივე ვენესუელის ნავთობის ხარჯზე, მიუხედავად ამ ქვეყანაში არსებულ რეჟიმთან, რომელიც აშშ-ის ხელისუფლებას ღიად უპირისპირდება. ვენესუელამ 1990-იან წლებში ნავთობმოპოვება დღეში 3 მილიონ ბარელამდე გაზარდა და დღევანდელ დღეს ამერიკულ ბაზარზე ნავთობის ერთ-ერთი პირველი მიმწოდებელია. გარდა ამისა, 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ამერიკამ გააფართოვა კავშირები კანადის ნავთობმომპოვებელ რეგიონებთან, ნავთობით მდიდარ მექსიკასთან, ნიგერიასთან. გარდა ამისა აშშ-ის ევროპისგან განსხვავებით (რომელიც დიდწილადაა დამოკიდებული რუსეთის გაზზე) ჰყავს ბუნებრივი აირის საიმედო მიმწოდებელი ნატოს წევრი სახელმწიფო კანადის სახით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იგივე ენერგომატარებლების იმპორტში არსებული ინტერესების სხვაობა იწვევს პოლიტიკური პოზიციების სხვაობას. ევროკავშირისა და ნატოს წამყვან ევროპულ სახელმწიფოებს განსხვავებული

პოზიცია აქვთ ალიანსის გაფართოებასთან დაკავშირებითაც. ზოგიერთი წამყვანი სახელმწიფო კმაყოფილი იქნებოდა, თუ ახალი წევრების მიღების შემდეგ ნატო რამდენიმე ხანს დაისვენებდა და იგივე რუსეთთან ურთიერთობას კიდევ ერთხელ არ დაძაბავდა. გარდა ამისა ნატოს დასავლეთ ევროპელი მოკავშირეების შეშფოთებას იწვევს ნატოს საზღვრებს მიღმა ეთნიკურ კონფლიქტებში შესაძლებელი ჩათრევა, რისი შემთხვევაც უკვე იყო ბოსნიისა და კოსოვოს კონფლიქტების დროს. გახდარიყო".[38]

- რაში გამოიხატება ევროკავშირისა და აშშ-ს ურთიერთობის სიმბიოზურობა?

ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობას სიმზიოზური შეგვიძლია ვუწოდოთ,რაც იმას ნიშნავს,რომ ოსინი არიან დამოუკიდებელი ინდივიდები,რომლებიც მშვიდობიანად თანაარსებობენ და მათი ეს არსებობა სასარგებლოა ორივესთვის.პარალელი შეიძლება გავავლოთ ცივი ომის პერიოდთან,როცა დაუძლურებულ ევროპას აშშ მატერიალურად დაეხმარა,სანაცვლოდ კი სტრატეგიული პარტნიორი შეიძინა,რომელიც მას დაემორჩილებოდა.დღეს კი,როცა საერთო საფრთხე აღარ არსებობს,ისინი ცდილობენ ერთმანეთთან თავი შედარებით შორს დაიჭირონ,მათი საგარეო პოლიტიკური კურსი უფრო სხვა პრიორიტეტებს აყენებს წინ,ვიდრე ერთმანეთთან თანამშრომლობაა.

- რა გავლენას ახსენს გეოპოლიტიკური და საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ცვლილებები ევროკავშირისისა და აშშ-ს ურთიერთობებზე?

გეოპოლიტიკური და საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ცვლილებები პირდაპირი გზით აისახება ევროკავშირისისა და აშშ-ს

[38] http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL2.15&d=HASH01f128b7970284691c5fabfe.8.1&gt=1

ურთიერთობებზე.კონფლიქტი თუ მშვიდობიანობის ხანა,ამაზეა დამოკიდებული მათი განწყობები.თუ ცივი ომის პერიოდში მათ განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა მოუტანდა სარგებელს,ახლა მათი პრიორიტეტები სხვაგვარადაა ფორმირებული.

- რამ გამოიწვია ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებული შტატებს შორის ურთიერთობის გაცივება ცივი ომის შემდეგ?

ცივი ომის დროს მსოფლიო წესრიგს ორი დაპირისპირებული ბანაკი-საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები განსაზღვრავდა,ამ ეპოქაში აშშ-ა აშკარა უპირატესობა ჰქონდა,მას ზურგს ნატო უმაგრებდა,ევროპა დაცული იყო ..გაწითლების''საფრთხისგან.მან აშშ-სგან კარგი მატერიალური დახმარება მიიღო,თუმცა ცივი ომის შემდეგ ფეხზე წამომდგარ ევროპას ბევრი რამ აღარ ახსოვდა,გამოიკეთა ბევრი სხვადასხვა ინტერესი,განსაკუთრებით შეიცვალა ურთიერთობა 2001 წლის შემდეგ,როცა 9/11-ის ტერაქტების შემდეგ აშშ-ს ადმინისტრაციამ ბევრი არადემოკრატიული და ადამიანის უფლების დარღვევის შემთხვევა დააფიქსირა,მათ შორის ,,პატრიოტის აქტის''სახით.აღსანიშნავია სიკვდილით დასჯის ტრადიცია,რომელიც აშშ-ს ზოგიერთ შტატში დღემდე მოქდებს და რომელიც ევროკავშირისთვის კატეგორიულად მიუღებელია,იგივე შეიძლება ითქვას იარაღის ტარების უფლებაზე,აშშ-ს მოქალაქეებს კონსტიტუციის მიხედვით უფლება აქვთ იარაღი ატარონ,კონსტიტუციის დამფუძნებელმა მამებმა ეს იმიტომ გადაწყვიტეს,რომ ყველა მოქალაქეს შეძლებოდა საკუთარი თავის დაცვა,21-ე საუკუნეში,როცა დემოკრატიული ქვეყნები არაძალადობისკენ მიისწრაფვიან,ევროპას აღნიშნული ტრადიციაც აღშფოთებს.

და ბოლოს,შეჯამების სახით მინდა აღვნიშნო,რომ 21-ე საუკუნის სტრატეგიული სტაბილურობის პირობებში,გამოწვევებისა ფონზე მნიშვნელოვანია ორმხრივი ურთიერთობები სუპრანაციონალურ ორგანიზაციასა და სახელმწიფოს შორის კიდევ უფრო გაღრმავდეს,განსაკუთრებით კი უსაფრთხოების სფეროში,გლობალური მშვიდობის მიღწევის მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაშიძე ზ. ,,ცივი ომი’’,ჟურნალი #5, თბილისი 2014

2. ალადაშვილი ბ., ,,სპეცსამსახურები და სპიონაჟი'',თბილისი 2005

3. ალადაშვილი ბ. ,,შპიონაჟის საიდუმლო'',თბილისი 2007

4. აკობია ე. ,,საერთაშორისო ურთიერთობები,თბილისი2006,გვ 55-56

5. არტი რ.,ჯერვისი რ. ,,საერთაშორისო პოლიტიკა-მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები’’,თბილისი 2011

6. დავითაშვილი ზ., ,,გეოპოლიტიკა ცივი ომის პერიოდში’’,ჟურნალი#12

7. დავითაშვილი ზ. ,,გეოპოლიტიკა ცივი იმის პერიოდში’’

8. ევროკომისიის წარმომადგენლობა, ,,ევროკავშირი და მსოფლიო’’,თბილისი 2002,გვ.9-10

9. კაპანაძე ს. ,,ევროკავშირის პოლიტიკა'',თბილისი 2006,გვ.72

10. ჟვანია ნ. საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია: სალექციო კურსი სოც. მეცნ. მაგისტრატურისათვის / ნინო ჟვანია;თბ.: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006 - 74გვ.

11. რონდელი ა. ,,საერთაშორისო ურთიერთობები’’, 1997

12. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი-ევროკავშირის პოლიტიკა: მიმდინარე საკითხები, თბილისი 2017

13. ფონტენი პ. ,,როგორ მუშაობს ევროკავშირი, 12 გაკვეთილი ევროპის შესახებ'',ევროკავშირი 2014

14. ჩიტაძე ნ. ,,გეოპოლიტიკა’’,თბილისი 2008

15. ჩიტაძე ნ. ,,ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი'',თბილისი 2008

15. Aaltola M.,Salonius C.-Pasternak,Käpylä J. and Sinkkonen V.(eds.)-BETWEEN CHANGE AND CONTINUITY: Making Sense of America’s Evolving Global Engagement, January 2018

16. Claire Daley- EU-USA Relations, October 2010

17. David S.Yost ‘’Strategic Stability in the Cold War Lessons for Continuing Challenges’’,2011

18. Dr.Lewis A.Dunn ‘’Some Reflections on Strategic Stability and its Challenges in Today’s World’’

19. Elbridge A.Colby,Michael S.Gerson “Strategic Stability:Contending Interpretations’’,2015

20. Halloway O. “Strategic Stability and U.S-Russian Relations, Washington,2011

21. Marsh, Steve; Mackenstein, Hans-The International Relations of the European Union

22. Reinhard Krumm-Europe’s Security Governance and Transatlantic Relations, November 2016

23. Transatlantic Relations: A European Perspective.The Regent’s Report 2014

24. Wickett X. ''Transatlantic Relations Converging or Diverging?'',London 2018

გამოყენებული ინტერნეტ რესურსი:

1.https://dailytimes.com.pk/40569/what-is-strategic-stability/

2.https://geoarmada.wordpress.com/2013/01/13/%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98/#more-643

3. https://www.militarium.org/civi-omis-samxedro-analizi/

4. http://nasrashvili.blogspot.com/2010/06/blog-post.html

5.https://clintonwhitehouse5.archives.gov/WH/Accomplishments/eightyears-10.html

6. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL1.22.5&d=HASH01f128b7970284691c5fabfe.6.8&gt=1

7. https://politicalreviewer.wordpress.com/2016/03/30/bush-doctrine/

8. http://www.tabula.ge/ge/story/55731-ra-shecvala-tertmetma-seqtemberma

9.https://www.amerikiskhma.com/a/froeeign_policy_obama/1587985.html

10. http://tbl.ge/xvf

11. https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_17120.htm?selectedLocale=ka

12.https://mokslai.lt/referatai/anglu_kalba/advantages-and-disadvantages-of-joining-nato.html

13.http://infocenter.gov.ge/peacekeeping-missions/#1

14. https://www.factslides.com/s-USA

15. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=5668

16. https://www.militarium.org/civi-omis-samxedro-analizi/

17. https://www.politico.eu

18. https://europa.eu

19. https://eeas.europa.eu